140
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ႮႨႭႬႤႰႨ

9

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ახლა სკოლისკენ ვიჩქარით

ნოდარ შამანაძე

ზაფხულმა მოიავარდა,
მოინავარდა მთა-ბარი,
ციცაბო კლდეზე ავარდა,
გაფინა ჭრელი საბანი.
ველი შეამკო მოვითა,
მოლს აუჭაგრა ფაფარი,
ჭრელი პეპლებით მოჩითა
ხევი — ჭინკების საფარი.
ცაზე ღრუბლები აშალა
სხივების აკაშკაშებით,
ტყეში დროშები გაშალა.
ტყის პირას დადგა კარვები.
მიგვიხმო გოგო-ბიჭები
მთა-ბარის ბატონ-პატრონად.
აგვიყვავილა ცის ჭერი,
მზე ხელში შემოგვატოვა.
გვამღერა, გვაჟრიამულა,
გვაკისკისა და გვახარა.
მდინარე აგვიხმაურა,
მკერდზე ტალღები გვახალა.
დოლით და ბუკით გვატარა,
გზას ბოლო აღარ უჩანდა:
სად არ ვიარეთ, სად არა,
გამოგვიხუნდა ზურგჩანთა.
ვიზარდეთ, ვიწრთეთ, გავკაჟდით
გაგვიცისკროვნდა გულები
გვეყო გართობა, ნავარდი,
სკოლისკენ მოვეშურებით.
გზები მზის შუქით აივსო,
ცას შვენის უნაპირობა.
მოვდივართ, მოგვაქვს ხალისი
და ხუთზე სწავლის პირობა.

მხატვარი
თამაზ ხუციშვილი

140
1971

# საქართველოს კომკავშირის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის




საქართველოს კომკავშირი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში იშვა. მან პირველი საბრძოლო ნათლობა ამ ბრძოლებში მიიღო, გამოიწრთო ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში.

პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა პარტიის VI ყრილობის რეზოლუციამ „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“. ყრილობამ მუშა-ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების შექმნისათვის ხელის შეწყობა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად აღიარა და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ამ მუშაობისათვის მიექციათ ყურადღების შესაძლო მაქსიმუმი.

ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს ახალგაზრდების რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად.

პარტიის თბილისის კომიტეტის თაოსნობით 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა „საინიციატივო ჯგუფი“, რომელმაც 8 სექტემბერს მოიწვია დამფუძნებელი კრება. კრებამ განიხილა წესდებისა და რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციას ეწოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი“.

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი და მიიღო მანიფესტი — „კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას!“ მანიფესტი მოუწოდებდა ახალგაზრდობას შეექმნათ რევოლუციური ორგანიზაციები და ყველგან დაეჭირათ მხარი პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის.

მანიფესტში ნათქვამი იყო: „სპარტაკის“ ორგანიზაცია, რომელიც აღსავსეა იმედებითა და მისწრაფებებით, იწყებს თავის მოღვაწეობას და მოუწოდებს კავკასიის ყველა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტს, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი და დაეხმაროს ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს კავკასიაში“.

მანიფესტმა დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და მთელ კავკასიაში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების შექმნაში.

„სპარტაკის“ დროებითი კომიტეტი მიზნად ისახავდა მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მათს რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმას და ორგანიზაციულ გაერთიანებას.

დროებითი კომიტეტი სისტემატურად მართავდა საერთო კრებებს, ატარებდა პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და ორგანიზატორთა შეკრებებს, სცემდა სხვადასხვა ფურცლებს, მოწოდებებს, მანიფესტებს. 1917 წლის 28 სექტემბერს გამოუშვა ვრცელი მოწოდება „კავკასიის ყველა მშრომელს“. „ამ საპასუხისმგებლო მომენტში, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — როდესაც რევოლუციური დემოკრატია ცდილობს სახელმწიფოებრივი ძალაუფლების გამოგლეჯას კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელიდან, ამ მომენტში, როდესაც წარმოებს ბრძოლა რუსეთის დიადი რევოლუციის სიკვდილსიცოცხლისათვის, — განსაკუთრებით ამ მომენტშია აუცილებლად საჭირო ინტერნაციონალური პროლეტარიატის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირება. დიადი კლასობრივი ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეკავშირებული და დარაზმული იქნებიან ყველა ერის მშრომელები“.

მოწოდებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ამიერკავკასიის ახალგაზრდა მუშების, გლეხებისა და მოსწავლეების ინტერნაციონალურ აღზრდასა და შემჭიდროებაში, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მხილებაში.

თბილისში „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნამ დიდად კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს სხვა რაიონებისა და ქალაქების რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებზე, მათს ორგანიზაციულ გაერთიანებაზე. ახალგაზრდობის კავშირები ყველგან იქმნებოდა. საქართველოში ახალგაზრდობის მოძრაობის სათავეებთან იდგნენ

პიონერი

9

სექტემბერი
1971

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა

## კომკავშირელი

ენგურის ძალა მომეცა,
ენგურის ხმა და სილაღე,
მამულო, ჩემი სიცოცხლე
შუქივით შემოგინახე.

ჩიორა ჩიტი როდი ვარ,
მთებს ვაწყობ გზა-გზა
ფილებად,
გულის სინათლით მოვდივარ
გულისა გასაბრწყინებლად.

მე ამირანის რწმენა მაქვს,
ღრუბლებს გავფანტავ მხნე
გულით,
მამულო, შენდა ლხენადა
შუქად ვარ გადაქცეული.

ფეხს დავკრავ, მთებზე
გადავალ,
ყველგან ვიქნები პირველი, —
ქართველი ახალგაზრდა ვარ,
ქართველი კომკავშირელი!

მორის ფოცხიშვილი.

ბორის ძნელაძე, იაშა იონიდი, გაიოზ დევდარიანი, დავით კაჭარავა, ამასი ამირბეგოვი, სტეფანე ვარდანიანი, იაშა ოგოევი, ბარნაბ ადამაძე, მოსე ცინცაძე, კოტე გორდელაძე, მიხეილ ბახტაძე, ვარლამ ნადარეიშვილი, ათანასე ჩხეტიანი, ნიკოლოზ ბოკუჩავა, პეტრე აგეევი, სიმონ პლიევი და სხვები.

1917 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ახალგაზრდობის დამფუძნებელ კრებაზე, შეიქმნა „სპარტაკის“ პირველი ორგანიზაცია ქუთაისში. ამ ორგანიზაციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ს. ჩიხლაძე, დ. ლომიძე, მ. ბახტაძე, ბ. ადამაძე, შ. ოკუჯავა, ვ. იმედაძე, ი. მონიავა და სხვები.

საქართველოში „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნასა და გამტკიცებაზე დიდი გავლენა მოახდინა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. ამის შემდეგ ახალგაზრდობის ორგანიზაციები ყველგან იქმნება. ისინი ეხმარებოდნენ კომუნისტურ პარტიას მასობრივპროპაგანდისტულ მუშაობაში, იარაღით ხელში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

„სპარტაკის“ ორგანიზაციების დიდ პროპაგანდიკტულ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1917 წლის 12 ნოემბერს „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტმა გამოსცა ჟურნალი „მესამე ინტერნაციონალი“, რომელიც ძირითადად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის განმარტებას მიეძღვნა. ჟურნალი მკაცრად აკრიტიკებდა რევოლუციის მტრებს და საქართველოს მშრომელებს მოუწოდებდა გაეძლიერებინათ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჟურნალი ამავე სახელწოდების გაზეთად გადაკეთდა.

კომკავშირის პირველმა ყრილობამ (1918 წლის ოქტომბერი) განახორციელა ვ. ი. ლენინის აზრი ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნის შესახებ. „კომკავშირის შექმნა, — აღნიშნავდა მ. ი. კალინინი, — არსებითად წარმოადგენდა ახალ ნაბიჯს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზაზე. ამ ისტორიულმა მოვლენამ პრინციპული სიახლე შეიტანა საკითხში ახალგაზრდობის როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კომკავშირმა შეამჭიდროვა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ერთ მთელად და მტკიცედ დააკავშირა იგი კომუნისტურ პარტიასთან“.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს, როგორც რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, ისე საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების შემდგომი მუშაობაც. ამ დღიდან „სპარტაკის“ ორგანიზაცია მთელ თავის მუშაობას წარმართავს როგორც რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შემადგენელი ნაწილი. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გრძელდება „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაციების შექმნა საქართველოში.

იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან არსებობდა „სპარტაკის“ ორგანიზაცია, მაგრამ მათ შორის ჯერ კიდევ არ იყო კავშირი. მათ შორის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის მიერ 1918 წლის 26 მაისს ქუთაისში მოწვეული იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ „სპარტაკის“ დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციამ აირჩია საგუბერნიო ბიურო, რომელსაც დაევალა დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და მათთვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა. კონფერენციაზე გადაწყდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს“ დარქმეოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია — „სპარტაკი“.

საგუბერნიო ბიურომ 1918 წლის ივლისში შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება და 23 დეკემბერს გამოსცა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდობის მოძრაობის გაფართოებაში.

1919 წლის დასაწყისისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები შექმნილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ამიტომ მწვავედ დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ „სპარტაკის“ ორგანიზაციები ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციად გაერთიანებულიყო ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრით.

ეს ამოცანა „სპარტაკის“ ორგანიზაციების სრულიად საქართველოს ყრილობას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ შექმნილი რთული ისტორიული პირობები არ იძლეოდა ყრილობის მოწვევის საშუალებას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა მიიღეს გადაწყვეტილება „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

1919 წლის 31 მარტიდან 2 აპრი-



ლამდე მიმდინარეობდა „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების პირველი საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა 50 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ თბილისის „სპარტაკის“ ორგანიზაციების 150 წევრს. კონფერენციამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი და მოისმინა პარტიის თბილისის კომიტეტისა და რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მისალმებანი. კონფერენციის დადგენილებით, თბილისის „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს“ შეეცვალა სახელწოდება. მას ეწოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“.

კონფერენციამ მოისმინა ბორის ძნელაძის მოხსენება წესდების შესახებ. კონფერენციამ მიიღო ბ. ძნელაძის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტი, რომელიც ძირითადად აგებული იყო კომკავშირის პირველ ყრილობაზე მიღებული პროგრამისა და წესდების საფუძველზე. წესდების ერთ-ერთ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრი შეიძლება იყოს ის, ვინც ცნობს კომუნისტური პარტიის პროგრამას და მის იდეურ ხელმძღვანელობას“. კონფერენციის მიერ მიღებული წესდება სახელმძღვანელო გახდა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციებისათვის.

კონფერენციამ მიიღო „დეკლარაცია მუშა-ახალგაზრდობისადმი“, თბილისის ოთხივე რაიონის „სპარტაკის“ ორგანიზაციები გააერთიანა ახალგაზრდობის ერთიან კომუნისტურ ორგანიზაციაში და აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის მეთაურობით.

თბილისის „სპარტაკის“ ორგანიზაციების პირველი კონფერენციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ორგანიზაციულად საბოლოოდ გააფორმა კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი ორგანიზაცია თბილისსა და საქართველოში.

თბილისის კომიტეტმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ახალი ორგანიზაციების შექმნისა და მათი ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს.

პირველ კონფერენციაზე არჩეული „სპარტაკის“ თბილისის კომიტეტი აპრილის ბოლო რიცხვებში, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით, გარდაიქმნა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებით ცენტრალურ კომიტეტად, რომელიც საქართველოსა და სომხეთის „სპარტაკის“ ორგანიზაციების მუშაობას ხელმძღვანელობდა. დროებითი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა ბორის ძნელაძე და მასვე დაევალა მისი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

„სპარტაკის“ დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოსცა ფურცლები, მოწოდებები, რომლებიც კომუნისტურ პრესასთან და ლიტერატურასთან ერთად ფართოდ ვრცელდებოდა ამიერკავკასიის ახალგაზრდებში.

ერთ-ერთი პირველი მოწოდება, რომელიც დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის მაისში გამოსცა, იყო დეკლარაციული მოწოდება. იგი ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიებს და მოუწოდებდა ახალგაზრდებს მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მასში აღნიშნულია: „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“ მოგიწოდებთ რევოლუციურ ახალგაზრდობას... შემჭიდროვდით ჩვენი ორგანიზაციის გარშემო, რომ აღიზარდოთ რევოლუციური მარქსიზმისა და მებრძოლი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შეადგინოთ ის დაუშრეტელი რეზერვი, რომლითაც შეივსება ჩვენი უფროსი ორგანიზაციის, კომუნისტური პარტიის რიგები, რომლებიც ხშირად თხელდება საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

ჩვენი ორგანიზაცია გამოდის აქტიური კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგით და, იღებს რა აქტიურ მონაწილეობას იმპერიალიზმის განადგურებაში, მიისწრაფვის ნათელი მომავლისაკენ, ახალი სამყაროსაკენ — კომუნიზმისაკენ“.

„სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის შექმნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების გაერთიანებისა და ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

დროებითი ცენტრალური კომიტეტი ამიერკავკასიის ახალგაზრდობას მოუწოდებდა გაეძლიერებინა ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მტრებთან. 1919 წლის ივნისში მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „ამიერკავკასიაში რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია საბჭოთა რუსეთის გამარჯვებაზე, და რომ ამიერკავკასი-



ის მშრომელი მასები მთელი თავისი არსებით დაინტერესებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ წითელი არმიის უკანასკნელ ბრძოლაში საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

...ჩვენ მხურვალე რევოლუციური მოწოდებით მივმართავთ ყველა მშრომელს და კერძოდ ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდებს, გაერთიანდნენ გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის და ამიტომ მოვუწოდებთ: ძირს დენიკინი! გაუმარჯოს რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ!“.

მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ახალგაზრდობაში. თბილისში, ხაშურში და სხვაგან შეიქმნა კომკავშირელთა ჯგუფები, რომლებიც რკინიგზაზე აჩერებდნენ ორთქლმავლებს, ცდილობდნენ ყოველნაირად შეეფერხებინათ დენიკინის დასახმარებლად მიმავალი ეშელონების მოძრაობა. ახალგაზრდობის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ კომუნისტურ პარტიას საქართველოში მყოფი ანტანტის ჯარისკაცთა შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაშლაში.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციებისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირის ორგანიზაციული გაერთიანების საქმეში. 1919 წლის 22 სექტემბერს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის რევოლუციური ახალგაზრდობის პირველი სამხარეო კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ახალგაზრდების კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანებისა და მათთვის საერთო სახელწოდების — „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაციის“ დარქმევის შესახებ. კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ამიერკავკასიის მრავალეროვანი მშრომელი ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

კონფერენციამ აირჩია ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი — რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით. კომიტეტში აირჩიეს: ბ. ძნელაძე, ვ. იმედაძე, ა. ამირბეგოვი, გ. გუკასიანი, ბ. ბარხაშოვი, ი. ბორჩოვი, ა. ბელოუსოვი და სხვები.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები გაერთიანდნენ რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში და პარტიის ხელმძღვანელობით განაგრძეს ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა მიიღეს 1919 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში, მათ საქმით დაამტკიცეს უდიდესი თავდადება და ერთგულება მშრომელი ხალხისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი. შეუპოვრობა და პარტიის საქმისათვის თავდადება გამოიჩინა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციამ. აქ კომკავშირელებისაგან შეადგინეს საბრძოლო უჯრედი, რომელიც ხელმძღვანელობდა კომკავშირელების მზვერავთა და შეიარაღებულ რაზმებს. ძალზე ოპერატიულად მოქმედებდნენ კომკავშირელი მზვერავები. ისინი აჯანყების სამხედრო შტაბს აწვდიდნენ ცნობებს მოწინააღმდეგის ჯარების რაოდენობის, შეიარაღებისა და განლაგების შესახებ.

შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირელი ქალიშვილებიც. ლანჩხუთში წითელარმიელებს იარაღით ამარაგებდა კომკავშირელი მატრონე ქურიძე, ლეჩხუმის მაზრაში მოსახლეობას შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა კომკავშირელი აგრაფინა მახარობლიძე, სამეგრელოში ფართო მუშაობას ეწეოდა თამარ საჯაია, ქუთაისში — თამარ გაბარაშვილი და სხვები.

საქართველოს კომკავშირის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება 1920 წლის 22 მაისიდან. ამ დღეს შეიქმნა საქართველოს კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც იკისრა საქართველოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყრილობის მოწვევამდე და გამოაქვეყნა მიმართვა საქართველოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციისა და წევრისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „დროებითი ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ კავშირის ყველა ორგანიზაციასა და წევრებს, კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძოთ ორგანიზაციული მუშაობა და ემზადოთ ყრილობისათვის“. დროებითი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ბ. ძნელაძე, სტ. ვარდანიანი, გ. დევდარიანი, ა. ამირბეგოვი და სხვები.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცების და ახალი ორგანიზაციების შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „მოლოდოი პროლეტარმა“, რომლის პირველი ნომერი 1920 წლის 31 მაისს გამოვიდა. გაზეთი ფართოდ აშუქებდა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო ვითარე-

კომკავშირელთა შეფობა გამოცხადდა კოლხიდმშენის მშენებლობაზე, რამაც ხელი შეუწყო მშენებლობის საქმის გაუმჯობესებასა და დაჩქარებას. კომკავშირლები და ახალგაზრდები თავდადებულად შრომობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სახავდნენ ღონისძიებებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. იმაღლებდნენ საწარმოო კვალიფიკაციას. კომკავშირული ორგანიზაციები ნაყოფიერად მუშაობდნენ სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში არ არსებულა რამდენადმე მნიშვნელოვანი ეტაპი, კომკავშირს — პარტიის ამ ნაცად ავანგარდს — თავისი სიტყვა რომ არ ეთქვას. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორია მთლიანად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიასთან.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა ქართველი ხალხი და მათ შორის ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც სამაგალითო ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინა, როგორც ფრონტის ხაზზე, ისე მტრის ზურგში.

უზარმაზარი წვლილი შეიტანა საბჭოთა ახალგაზრდობამ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეში, ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ბას, ბეჭდავდა სტატიებს ევროპის ქვეყნების კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების შესახებ, მიმოიხილავდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობას საქართველოში.

1920 წლის 25 აგვისტოს გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი „ლეგალური" ყრილობა, რომელსაც 43 დელეგატი დაესწრო. ესენი იყვნენ საქართველოს კომკავშირის 2300 წევრის წარმომადგენლები. დელეგატებს შორის იყვნენ ბ. ძნელაძე, ს. ჯაფარიძე, გ. დევდარიანი, ვ. იმედაძე, ა. ამირბეგოვი, ბ. ადამაძე, შ. ოკუჯავა, დ. კაჭარავა, კ. ორაგველიძე, კ. გორდელაძე, თ. გაბარაშვილი და სხვები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები და ძველი ბოლშევიკები: მამია და მარიამ ორახელაშვილები, ნესტორ ცერცვაძე, არაქელ ოკრუაშვილი და სხვები.

ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების ხსოვნას. ამის შემდეგ ყრილობის თავმჯდომარემ ბორის ძნელაძემ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ყრილობა გახსნილად გამოაცხადა. ყრილობამ განიხილა საკითხები: მიმდინარე მომენტი და კომკავშირის ამოცანები, მოხსენებები ადგილებიდან, მუშა ახალგაზრდობას შორის მუშაობა, მუშაობა სოფლად, ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობა, ურთიერთობა პარტიასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და ა. შ.

ყრილობამ აირჩია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ბ. ძნელაძე, ს. ჯაფარიძე, გ. დევდარიანი, ა. ამირბეგოვი, შ. ოკუჯავა, ვ. იმედაძე და ა. იზორია. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს კ. ორაგველიძე, ბ. ადამაძე და გ. გვახარია.

კომკავშირის ყრილობამ მიიღო დადგენილება ახალგაზრდობის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შესვლის შესახებ და ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლად ბორის ძნელაძე აირჩია.

თუმცა მენშევიკურმა მთავრობამ ხელი შეუშალა ყრილობის მუშაობას, ყრილობამ მაინც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ყრილობამ დაასრულა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციული გაფორმება.

1921 წლის იანვარში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული და მამაცი თანაშემწე იყო საქართველოს კომკავშირი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უაღრესად ძნელ პირობებში დაიწყეს ახალგაზრდებისაგან საგანგებო წითელი რაზმების შექმნა უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ყველა დიდი პუნქტის დასაკავებლად.

კომკავშირელები ეწერებოდნენ წითელი გვარდიის რაზმებში, გადიოდნენ სამხედრო მომზადებას და ენერგიულად ემზადებოდნენ ბრძოლისათვის. „ყველანი დავიღუპოთ, მაგრამ გავიმარჯვოთ!" — ასეთი იყო საქართველოს კომკავშირის ლოზუნგი მენშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადების დღეებში.

საქართველოს კომკავშირი აჯანყების დღეებში განსაკუთრებული შეუპოვრობით, თავდადებით და გმირობით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში დაიბადა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი, კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწე, საკავშირო კომკავშირის ერთ-ერთი რაზმი — საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. საქართველოს კომკავშირმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის თავგანწირული ბრძოლით, გმირობით და მამაცობით დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, საქართველოს მშრომელებისადმი. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საქართველოს კომკავშირი გამოვიდა, როგორც საბჭოთა საზოგადოების აქტიური რევოლუციური, შემოქმედებითი ძალა, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა მომზადების სკოლა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ვახტანგ ქარუმიძე,
დოცენტი.




კომკავშირის დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომკავშირლებს შეფობა ჰქონდათ აღებული 86 სამშენებლო ობიექტზე. მათ შორის იყო 18 კომკავშირული მშენებლობა: ჰიდროელექტროსადგურები, ტყვარჩელისა და ტყიბულის შახტები, რუსთავის სინთეზურ-ბოჭკოვანი ქარხანა, ყარაგანდა-თბილისის გაზსადენი, საცხოვრებელი სახლები, სპორტული მოედნები, კლუბები, სამკითხველოები და სხვა. იუბილის დღისადმი კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით დამთავრდა გუმათჰესის, სამი საშუალო სკოლის და 236 ათასი კვ. მეტრის საბინაო ფართობის მშენებლობები.

კომკავშირის 40 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომკავშირლებმა მილიონ სამასი ათასი მანეთი შეიტანეს „კომკავშირულ ყულაბაში".

1954 წლის 31 მარტი... ბევრს ემახსოვრება ეს ღირსსახსოვარი თარიღი, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართველი ახალგაზრდების, ქართველი კომკავშირლების შრომით მატიანეში. სწორედ ამ დღეს გაემგზავრა ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ჯგუფი 160 კაცის შემადგენლობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ალიო მირცხულავა

როგორ ვიზარდეთ! ნალმის ნათელით
ძლივს მიიკვლევდა გზას ათიოდე...
მტერს მიჰკიოდნენ სამგზის გათელილს
და შეტევაზე გადადიოდნენ!

მუდამ მებრძოლი და მოწინავე,
გულდაგულ რას არ გამკლავებია,
თვალნი მრავალნი, ძირს რომ ბრწყინავენ, —
ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებია!

ბრძოლის დღეები ისევ წინ არის, —
მტერს რომ აწვება გულის დარდებად,
გმირთა ლაშქარი დაუძინარი
ისევ ქარიშხლად ამოვარდება!

ისევ ჰქუხს ჩემი ლექსის ნაღარა, —
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,
თუმც გამერია თმაში ჭაღარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული!

### სანდრო ეული

ვშობილვართ მთაში,
ვშობილვართ ბარად,
კიდით-კიდემდე
და ზღვიდან-ზღვამდე,
მკერდი გვაქვს ყველგან
სამშობლოს ფარად,
გვიგზავნის კრემლი
მზის სხივთა ფარდებს.

ვშობილვართ მთებში,
ვშობილვართ ბარად.

ვანგრევთ ძველსა და
ვაშენებთ ახალს,
მხარში ვუდგევართ
ხალხს და ქვეყანას.
არვის დავუთმობთ
სამშობლოს ჩვენსას,
არვის დავუთმობთ
ჩვენს ბაღს და ყანას.

არვის დავუთმობთ
სამშობლოს ჩვენსას.

ვდგავართ მთებივით,
ვგავართ ქარიშხალს,
ვიცავთ ლომგულნი
საბჭოთა მხარეს,
ჩვენ შორის არვინ
საბჭოთა მიწას
მტერს არ დაუთმობს, —
არ გაახარებს.

ვდგავართ მთებივით
ვგავართ ქარიშხალს...

### გიორგი კაჭახიძე

სიჭაბუკევ, ისე როგორ მოგიგონებ,
არ გადიდოთ ერთად შენ და კომკავშირი,
მინდა შევხვდე იმ ჭაბუკებს, იმ გოგონებს,
ერთი გზით რომ მოვდიოდით მკერდგაშლილი.

ამ უსაზღვრო ქვეყანაზე მათ კვალს ვეძებ,
გზა-გზა ნეტავ, ვის რა ბედი აუფრინდა!
ალბათ ახსოვთ
შვილიშვილთა ხათრით ღმერთზე,
ჩვენს ბაბუებს გული როგორ გაუგრილდათ.

ალბათ ახსოვთ,
როგორ გვჭრიდა თვალს შაშხანა,
სულ რომ იყო ასაწყობი, გასაწმენდი.
რაგომ ვფიქრობ: ჯერ მელანიც არ გამშრალა,
იმ ოქმებზე, სიყვარულით ჩვენ რომ ვწერდით.

ახლო იყო იმ დღეებთან დღე ბავშვობის,
და ცოგაზეც ვყიჟინებდით: — რა ბევრია!
ვერ გავიგე, ამ ჟრიამულს სად დავშორდი,
ან ჭაღარა თმაში როგორ გამერია.

კომკავშირი — მუდამ მხნე და დაუღლელი
სიჭაბუკის მადლით არის ისევ სავსე,
ჩვენ რომ მხარზე ასაფრენად დაგვკრა ხელი
დღეს იმ ეშხით სხვები გაჰყავს ფართო გზაზე.



# ენერგეტიკის მშენებელი

მძლავრი ექსკავატორები ამუშავებენ ქვაბულს. 10-ტონიანი „კრაზებს" ქვაბულიდან ყოველდღე ასობით ტონა ქანები გამოაქვთ.

ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. მუდამ დიდი ინტერესით შევცქერი მის სახეს, ჯანსაღ სხეულს და ნაპერწკალივით მოელვარე თვალებს. ყოველთვის სადღაც ეჩქარება. ფართო ნაბიჯებით დადის ქუჩაში.

საღამოს სტადიონის ტრიბუნაზე გვერდით მიზის და ტაშისცემით იწითლებს ხელისგულს, აღტაცებული ხვდება მოასპარეზეთა სხარტ ფინტებს. ან ზის სადმე მყუდრო ლაბორატორიაში, ახალ ცდებს აყენებს და ბუნების ჯერ კიდევ უცნობ მოვლენებს არკვევს, საათობით შესცქერის შორეულ ვარსკვლავებს და მათი იდუმალების ამოხსნას ცდილობს.

მტვერში ამოგანგლული მიჰყვება მშენებლობის ხარაჩოებს.

ბევრს ფიქრობს, სულ ეძებს. ხშირად პოულობს და უხარია, ზოგჯერ გამოცდილება ღალატობს, — სასურველ შედეგს ვერ აღწევს და საკუთარ გულს ასკდება, ნერვიულობს. ცოტა ხანს იქნება ასე. მერე ისევ ფიქრობს, ისევ ეძებს.

სჭირათ მისი. იგი ყველაფერს მისწვდება, ყველაფერს მოასწრებს. უდაბნოში არხებს გაიყვანს ოაზისთა ასაყვავებლად, ბობოქარ მდინარეს შეაჩერებს, ბეტონის არტახებით შეკრავს და ელექტრონათურების ციმციმად აქცევს მის ულევ ენერგიას. ვარსკვლავეთისკენ გაკვალავს გზას. სიძნელე ვერ შეაშინებს, დაბრკოლება განზრახულზე ხელს ვერ აიღებინებს მას — სამოცდაათიანი წლების კომკავშირელს.

მუდამ შემართული სიახლისათვის მებრძოლად მესახება ახლა იგი, თუმცა...

ადრეც ასეთი იყო, ნახევარი საუკუნის წინათაც.

უფროს თაობასთან ერთად ჩავიდა 1920 წელს მცხეთაში. მაშინ იქ ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის პირველ ელექტროსადგურს აშენებდნენ. ღამე ფარღალალა ბარაკებში ეძინა, მამისეულ გახუნებულ ფარაჯას იხვევდა ტანზე და სიცივისაგან კანკალებდა. დილაადრიანად მაინც წელგამართული მიეშურებოდა მშენებლობისაკენ. მძიმე პირობების გამო უკმაყოფილება ერთხელაც არ გამოუთქვამს. არც რა იყო სალაპარაკო. ახლად განთავისუფლებული ქვეყანა წელში იმართებოდა, უკეთესისკენ ილტვოდა და ხვალინდელი დღის სასიკეთოდ აშენებდა ზაჰესს.

მანაც იცოდა ეს, თავისი შრომის მნიშვნელობაც კარგად ესმოდა. მძიმე წერაქვით ანგრევდა გაჯიუტებულ კლდეს, ბარით ასწორებდა არხის პირს, ხის რელსებზე დაყენებული ურიკებით გაჰქონდა მიწა კაშხლის ასაშენებელი ადგილიდან.

ერთხელაც არ იკითხავდა, რომელი საათია. მთელი დღე თავაუღებლად მუშაობდა, მერე მძიმე შრომისაგან გასავათებული სანთლის შუქზე ბა-



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შუქრი აბაკელიას (მარჯვნიდან პირველი) ახალგაზრდული ბრიგადა სამუშაოზე გასვლის წინ.

ტიფეხური ასოებით წერდა შორეულ სოფელში დარჩენილ დედას: „ყველაფერი რიგზეა აქ. მე კარგად ვარ, მაგრად ვმუშაობ, თქვენც მანდ თავს გაუფრთხილდით“.

მერე არხში გაშვებული წყლის პირველ ნაკადს გამოჰყვა შარვალაკაპიწებული და გზა-გზა მხიარულად უქნევდა დაკოჟრილ მარჯვენას გაღმა-გამოღმა გორაკებზე შეფენილ სოფლებს.

მაშინ დაიწერა საქართველოს კომკავშირის გმირული ისტორიის პირველი ფურცელიც.

*

მერე იყო რუსთავი.

სიცხისაგან გადატრუსული ველები. ახლომახლო წყლის ნასახიც არ ჩანდა. თვალსაწიერზე ერთ ხესაც ვერ დალანდავდა კაცი, შუადღის პაპანაქებაში თავი რომ შეფარებინა.

არა და ერთ დროს ხალისიანი სიცოცხლე ჩქეფდა აქ. შრიალებდნენ ბაღ-ვენახები. ნიავს შორს მიჰქონდა გრდემლზე დაცემული უროს ხმა და გუთნისდედის ტკბილი ოროველა. მოძალებულმა მტერმა ყველაფერი მიწასთან გაასწორა: სახლები გადაწვა, ვენახები აჩეხა, პირუტყვის საბალახოდ აქცია ყანები.

დაშრნენ წყაროები. მოსახლეობა აიყარა და უშიშარ ადგილებს შეაფარა თავი. მიდამო გაუდაბურდა.

წლები გავიდნენ და ძველ ნაფუძარზე ახალი სიცოცხლის დამკვიდრება გადაწყდა. აქ უნდა აშენებულიყო ამიერკავკასიის ყველაზე დიდი საწარმო — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, უნდა გამოედნოთ ფოლადი, თუჯი...

ეს უპირველესად ჩვენი საქმეაო, თქვეს მაშინდელმა კომკავშირელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომელთაც ახლა კომკავშირელი შვილები ჰყავთ.

სიცხემ ვერ შეაშინა ისინი. უკაცრიელ ველზე ხარაჩოები წამოიმართნენ, მერე ქარხნის საამქროებიც აზმაურდნენ და ქალაქის ფართო ქუჩებში ნორჩი ხეები აშრიალდნენ.

ეს იყო კომკავშირულ-დამკვრელური შრომის შედეგი. და როცა რუსთავში სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა დაიწყო, საქართველოს კომკავშირმა იქ თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გაგზავნა.

მახსოვს, მშენებლობის დაწყებისთანავე მუშის ერთი წითელი ხელთათმანი შეაკერინეს და ყოველი თვის ბოლოს ყველაზე გამრჯე ახალგაზრდულ ბრიგადას გადასცემდნენ. ამისათვის 10 კოლექტივი ეჯიბრებოდა ერთმანეთს და თითოეული მათგანი საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევდა.

ახლახან ძველ უბის წიგნაკში მშენებლობის იმჟამინდელ კომკავშირელ ორგანიზატორ ლერი ჩარკვიანთან საუბრის ჩანაწერს წავაწყდი. შიგ ასეთი რამ ამოვიკითხე: „ეს წითელი ხელთათმანი თავისთავად ვერაფერი დიდი ჯილდოა, მაგრამ აქ გამორჩენას არავინ ეძებს და ამ პატარა ხელთათმანს თავიანთი გამრჯე შრომის აღიარებად თვლიანო“.

ეს კომკავშირელთა უანგარო მოქმედების ერთგვარი შეფასებაც იყო. თავისუფლად შეიძლებოდა მისი გამეორება რიონჰესის მშენებელთა მიმართ, რომელთა შეუპოვარი შრომა ანდერძივით გადაეცა ენგურჰესელ ახალგაზრდობას.

ამბობენ ენგურჰესი ამიერკავკასიის ჰიდრომშენებლობის გიგანტიაო. მართალიცაა. აქ ჯერ არ აუშენებიათ ასეთი დიდი ნაგებობები, რომელთა მშენებლობა 100 კილომეტრზეა გადაჭიმული ჯვარიდან ზღვამდე.

ენგური მაღალ მთებში იღებს სათავეს. 174 მყინვარი კვებავს მას და რა გასაკვირია ზამთარ-ზაფხულ წყალუხვი იყოს.

გზად იგი რამდენიმე მთას გამოივლის, ასეულ ქარაფზე დაეშვება და ჯვარისზემოთ ძალიან ახლოს მდგომ



რელიეფის თავისებურებამ მშენებლობისათვის დღემდე უჩვეულო პროფესიის ადამიანები მოითხოვა, — კლდეზე მცოცავები უტევენ სიმაღლეს.



მოდის, მოქუხს ენგური, თან დიდძალი სილა და ხრეში მოაქვს. ჯვართან დამხარისხებელი ფაბრიკა, ე. წ. მცურავი „დრაგა" ხვდება, რომელსაც ეს ძვირფასი სამშენებლო მასალა ამოაქვს მდინარიდან, ახარისხებს და ზვინებად დგამს.

მთებს შორის გასხლტება და გავაკებაზე გამოდის.

სწორედ აქ გადაუკეტავს გზას 270 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხალი, რომლის ყველაზე მაღალი წერტილი 510 მეტრზე იქნება ზღვის დონიდან.

„კაშხალმშენის" სამმართველოს მთავარი ინჟინრის ნოდარ ემხვარის თქმით მთების გულში უნდა ჩაიდგას ქალის თმის დასამაგრებელი სავარცხლის მსგავსი გიგანტური ნაგებობა, რომელიც ენგურის სავალ გზას გადაკეტავს.

კაშხლის მიერ შექმნილ საცავში დაგუბდება 1.100 მილიონი კუბური მეტრი წყალი. ეს ხუთჯერ აღემატება საქართველოს ტაბაწყურის ტბის მოცულობას და ორნახევარჯერ მეტია წყალუხვ მესხეთ-ჯავახეთის ტბების ერთად აღებულ მოცულობაზე.

კაშხლიდან 15 კილომეტრზე შენდება ჰიდროელექტროსადგური, თანაც იგი 100 მეტრით დაბლა იქნება დაწეული. ეს დამატებითი წყალვარდნილის შესაქმნელად და წყლის ნაკადის დაცემის ძალის გასადიდებლადაა საჭირო. ამუშავდება 5 აგრეგატი, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 26 ათას კილოვატს შეადგენს.

მერე ენგური არხით გადავა გალის რაიონში გამდინარე ერისწყლის ხეობაში და სოფელ რეჩხთან 60 მეტრიანი კაშხლით გზაგადაკეტილი შექმნის ახალ წყალსაცავს. ვარდნილჰესში ამუშავებს სამ 73 ათას კილოვატიან ტურბინს, რომელთაგან ორი უკვე სამრეწველო დენს აძლევს საქართველოს სახალხო მეურნეობას.

ასე ხვავიანად „ნაჯაფარი" ენგური თავს დაღლილად მაინც ვერ იგრძნობს და ვიდრე ზღვას შეერთვოდეს სამ სხვა წყალვარდნილზე 40 ათასი კილოვატი სიმძლავრის სამ ჰესს კიდევ აამუშავებს. ამით ენგურჰესის კომპლექსის საერთო სიმძლავრე 1.640 ათას კილოვატს მიაღწევს, რაც ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოში უკვე მოქმედი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია.



სოფელ რეჩხთან (გალის რაიონი) ერისწყალს 60-მეტრიანმა კაშხალმა გადაუღობა გზა და მწვანით შემოსილ ხეობაში ხელოვნური ზღვა გაჩნდა.

საინტერესოა თვით კაშხლის აშენების მომენტი. ბეტონის ჩასხმის დღემდე არსებული მეთოდები აქ უვარგისი აღმოჩნდა. გარემო პირობებია ამაში „დამნაშავე". დაარმატურებული ბეტონის ბალიში, რომელსაც კაშხალი დაეყრდნობა, ხეობის ვიწრო ჭრილში უნდა ჩაისვას. ქვაბულის სიღრმეც ათობით მეტრია. ამასთან ძნელად მისადგომია. ყოველ ციცაბოზე კი გზის გაყვანა არ ხერხდება, ვერც ბეტონის ქარხნებს ააგებ მთის წვერზე.

რაღაც ახალი გზა უნდა გამონახულიყო, ძველისგან თვისობრივად განსხვავებული და ეკონომიური. სპეციალისტებმა მრავალი ღამე გაათენეს, ბევრი იფიქრეს და ბოლოს ყველაზე ხელსაყრელ ხერხსაც მიაგნეს.

გამამდიდრებელი ფაბრიკიდან, სადაც ხრეში და სილა ხარისხდება, გაჰყავთ სამშენებლო მასალის მაღლა ასატანი საბაგირო გზა. ზევით კი უკვე მზადაა ბუნკერ-დოზატორის განყოფილება, საიდანაც მშრალი ნარევი მექანიზებული საზიდრით სათქვეფავში მოხვდება. აქედან მძლავრი კაბელ-ამწეები მზა ბეტონს მიაღებენ და ნახევარი კილომეტრის სიმაღლიდან სპეციალური რკინის ბადეებით ძირს, ქვაბულში ჩაუშვებენ.

ყველა ოპერაცია მექანიზებულია, ხოლო ბეტონის მიწოდება ტელეხედვითი იქნება, რადგან საქმე გვაქვს დიდ მანძილთან, სადაც ტელეხედვის გარეშე საჭირო სიზუსტის დაცვა შეუძლებელია.

მეტად ჭრელია ქვაბულის გარეშე მდებარე მთების გეოგრაფიაც. ფერდობები ბევრგან დაბზარულია, ერთმანეთში გადადიან კირქვიანი,

თიხიანი ფენები. ამიტომ მათი გამძლეობის გასადიდებლად ისინი მკვრივი ლითონის ბადეებით უნდა შემოიგარსოს. საამისოდ ძალზე რთული სამუშაოების ჩატარებაა საჭირო. სწორედ ამან მოითხოვა მშენებლობისათვის აქამდე უჩვეულო სპეციალობის ადამიანები — კლდეზე მცოცავები, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან.

ენგურს უახლესი ტექნიკა აშენებს, მაგრამ...

იგი არც თაღოვანი კაშხალია მარტო, არც ქარაფებზე გაყვანილი გზები, არც უზარმაზარი მიწისქვეშა დარბაზები და მძლავრი მანქანები.

ის უპირველესად ადამიანია, — მაძიებელი, სიძნელეებთან შეურიგებელი და მშრომელი.

არც ისე დიდი დრო იყო გასული მშენებლობის დაწყებიდან, როცა იგი კომკავშირულ-დამკვრელურად გამოცხადდა. ენგურის ნაპირებისკენ კომკავშირული საგზურებით დაიძრნენ ქალიშვილები და ჭაბუკები. ჩამოყალიბდა პირველი ახალგაზრდული ბრიგადა. ახლა მათი რიცხვი 5 ათეულზე მეტია და უმრავლესობა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის ყოველი წევრი შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, პირად ცხოვრებაში სანიმუშოა.



სულ ცოტაც და, ენგურის ხეობაში პირველი, 50-ტონიანი ამწე აღიმართება.

ამჟამად მშენებლობაზე იღწვის 2 ათასამდე კომკავშირელი ახალგაზრდა.

რესპუბლიკაში ცნობილია ძალოვანი კვანძების სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნის, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელის, სახელგანთქმული გვირაბგამყვანის ომარ ღლონტის სახელი, მისი ბრიგადის წევრთა გამრჯე შრომის ამბავი.

ომარი ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ეწვია ენგურის ნაპირებს. პირველად მართლაც გაუჭირდა გამოუცდელ ჭაბუკს. არც სპეციალობა ჰქონდა, არც მიწისქვეშ მუშაობისთვის საჭირო ცოდნა. სიძნელეებს მაინც არ შეუშინებია. გულისყურით უსმენდა ოსტატთა რჩევას, მალე დაეუფლა გვირაბგამყვანის რთულ პროფესიას და ერთ-ერთი გამრჯე ახალგაზრდის სახელი დაიმკვიდრა. თანატოლებმა თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს.

საქართველოს კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობათა ახალგაზრდების შრომითი საქმეების ესტაფეტისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ომარის ბრიგადამ ყველაზე უკეთ იმუშავა და სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა.

ასევე აფასებენ და უყვართ მშენებლობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შუქრი აბაკელია და მისი ბრიგადის წევრები. ბიჭები სულ მიწის სიღრმეში მიიწევენ. კლდეს ანგრევენ და ათობით მეტრი გვირაბი გაჰყავთ.

რთულია გვირაბგამყვანების შრომა, მაგრამ ძალზე საპატიოცაა. გვირაბს მშიშარები არ უყვარს, იქ მხოლოდ სულით ძლიერი, საქმის ზედმიწევნით მცოდნე ადამიანების ადგილია.

სახელი გაითქვა ზაურ ზარნაძის ბრიგადამაც. ზაურის ჯერ კიდევ ჯარისკაცის ჩექმები ეცვა, კომკავშირული საგზურით რომ ეწვია ვარდნილჰესის სამმართველოს. იგი არც პირველი ყოფილა, არც უკანასკნელი. ასეთი საგზურით ბევრი ჩამოსულა და შრომის საერთო ფერხულში ჩაბმულა. ზაურიც ერთ-ერთ უბანზე გაანაწილეს. დილას სამუშაოს მოუჩენდნენ, საღამოს კარგი შრომისათვის შეაქებდნენ. ერთი თვის შემდეგ კი ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშნეს.

მალე კიდევ ერთი ზარნაძე ეწვია სამმართველოს. უფროსებს უმცროსმა ავთანდილმაც მიბაძა. ძმების გზა აირჩია ამირანმაც. ყველანი ზაურის ბრიგადაში მუშაობდნენ.

ბოლოს დაცალკევდნენ. საქმემ მოითხოვა ასე. მშენებლობას ამწის მემანქანეები უფრო დასჭირდა. ავთანდილი და ამირანი პირველი მოწოდებისთანავე ახალ უბანზე გადავიდნენ. მერე გვირაბის გაყვანასაც მორჩნენ და ზაურის ბრიგადამაც პროფესია გამოიცვალა, — მებეტონეებად იქცნენ ჭაბუკები. ეს ხელობა ადრევე შეისწავლეს და ბეტონზე მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდათ.

ენგურზე არამარტო შრომობენ, იზრდებიან კიდეც, გამოცდილებას იძენენ.

მოწაფეები მასწავლებლები ხდებიან და წარმოების სათავეებთან დგებიან.

გენო ბიბლაიას მშენებლობაზე 1965 წელს შევხვდი პირველად. მაშინ ახალბედა იყო. თბილისის სამშენებლო ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა მუყაითობით გამოიჩინა თავი და სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. მერე უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერისწყლის კაშხლისა და პირველი აგრეგატის დამონტაჟებაზე მომუშავე ახალგაზრდობის თავკაცი მიმდინარე საქმეების კურსში იყო მუდამ. ოთახში გაჩერებულს ვერ ნახავდი. ცვლის დამთავრების შემდეგ მაღალყელიან რეზინის ჩექმებს ჩაიცვამდა და სამშენებლო ობიექტებს ჩამოუვლიდა. ხან ერთი ბრიგადის ავკარგს ისმენდა, ხან მეორეს ეხმარებოდა მოულოდნელად წამოჭრილი სიძნელეების დაძლევაში.

ამჟამად იგი პარტიული ორგანიზაციის მდივანია. სამმართველოში კი ასამდე კომუნისტი შრომობს. ეს კოლექტივის ყველაზე აქტიური ნაწილია, მუდამ სამაგალითო და მისაბაძი. მათი უმრავლესობა ვეტერანია, — მრავალსმნახველი და სიძნელეებთან ბრძოლაში თმაგათეთრებული.

მარტო გენო ბიბლაია როდია ასეთი. მშენებლობაზე ბევრია ისეთი ბრიგადირი, ოსტატი, ცვლის, უბნის უფროსი, რომლის შრომითი ცხოვრების გზა რიგითი მუშის საქმიანობით დაიწყო.

ასეთია დღევანდელი, 70-იანი წლების კომკავშირელის — მშენებლის მართალი პორტრეტი.

**რობერტ ძერია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობით, ვილიანა!

**ჯემალ ნინუას** მოთხრობაში — „მშვიდობით, ვილიანა!“ — აღწერილია გიორგი დიმიტროვის სახელობის პიონერთა საერთაშორისო ბანაკში — ბულგარეთის „არტეკში“ გატარებული დღეები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბავშვებმა ამ ბანაკს „სიხარულის ქალაქი“ დაარქვეს სახელად. მსოფლიოს ხუთი კონტინენტის ბავშვები მეგობრულად ცხოვრობენ ამ პატარა ქალაქში. ერთად თამაშობენ და მღერიან, ერთად დადიან ლაშქრობაში, ერთად ოცნებობენ მშვიდობაზე, ერთმანეთის სიხარულსაც იზიარებენ და მწუხარებასაც.

მოთხრობის მთავარი გმირი — გელა წერეთელი — გაგაცნობთ თავის ახალ მეგობრებს, გიამბობთ, როგორ ცხოვრობენ და რაზე ოცნებობენ თქვენი უცხოელი თანატოლები.

გთავაზობთ ამ მოთხრობის ნაწყვეტს.

**ჯემალ ნინუა**

მხატვარი **ჯემალ ლოლუა.**

## თეთრი არყის ხის ზღაპარი

ზღვაზე საღამოს ნისლი ჩამოწვა.

ტალღების ხმაურიც თანდათან მიწყდა. ალბათ უკანასკნელი ტალღა ნაპირზე გაიშალა და ზღვაში აღარ ჩაბრუნებულა.

მზე უკვე ცხრა მთას იქით იქნებოდა გადასული. მშვიდი ძილით ეძინა თეთრი არყის ტყეს, ხეების კენწეროებს შორის ვარსკვლავებით სავსე ცა იჭყიტებოდა. მთვარე კი, დიდი, ვეებერთელა მთვარე, საღამო ხანს ზღვის მხრიდან რომ წამოვიდა, ახლა არყის ხეებზე ჩამომჯდარიყო, ზედ ჩემი კარავის წინ, იჯდა და ისვენებდა.

მე კი ჩემი საძილე ტომარა კარვის კართან მივათრიე, თავი გარეთ გავყავი და თვალდაჭყეტილი შევყურებდი მთვარეს და ტყის სიღრმეში მიმალულ პატარა ნათურებს, ტყეში გაშლილი ფერად-ფერადი კარვების წინ რომ ციმციმებდნენ. აქედან ისე ჩანდა, თითქოს ტყეში ციცინათელების გუნდი დაფრინავდა. აგერ, რობინზონის ქოხთან ჩამოკიდებული ნათურა უცებ შეირხა და ჩაქრა. მერე კიდევ ორი თუ სამი ნათურა ჩაქრა, კიდევ ორი; მე კი...

რობინზონის ქოხში რომ მივედით, ვილიანამ ერთი ზთჯერ მაინც მითხრა, დღესაც თუ ადრე დაგეძინა, მაშინ ნამდვილად ძილისგუდას შეგარქმევთ და არ გეწყინოსო. მითხრა და... თვითონ დაიძინა, მე კი ისევ თვალდაჭყეტილი შევყურებდი ჩემ წინ ხეზე ჩამოსკუპებულ მთვარეს და ტყეში მიმოფანტულ ციცინათელებს ვითვლიდი. ოცი თუ ოცდაორი იყო, ახლა ცამეტიღა დარჩა... ჩემ გვერდით ვილიანას და კრასომირას მზესუმზირისფერი კარავი იდგა, ცოტა მოშორებით მიშამ და იურაზლარბამ გაშალეს თავისი ლაბადა, მაგრამ მათი ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ყველას სძინავს და მე რაღა დამემართამეთქი, გავიფიქრე და საძილე ტომარაში ჩავძვერი, მაგრამ ძილი ახლოსაც არ მეკარებოდა. თავში იმდღევანდელი ამბავი მიტრიალებდა, სულ რობინზონის ქოხი მედგა თვალწინ და რა დამაძინებდა?

**16 საათი.** დასვენების საათი დამთავრებულიც არ იყო, ბანაკის მორიგე თავზე დაგვადგა და საწოლებიდან წამოგვყარა, ჩქარა, ხუთ წუთში მთელი რაზმი მწვანე მოედანზე უნდა იყოსო. რიგიანად გამოფხიზლებულიც არ ვიყავით, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა, ხუთ წუთში ყველანი მოედანზე ჩავმწკრივდით.

— „რობინზონის ქოხში“ გაემგზავრებით, ხვალ დილამდე იქ უნდა დარჩეთ, — გვითხრა ბანაკის უფროსმა. — იცოდეთ, თქვენი ხელით მოგიხდებათ ყველაფრის გაკეთება და ამიტომ კარგად უნდა მოემზადოთ. მეგზურები ვილიანა და კრასომირა იქნებიან. უფროსთაგან არავინ არ გამოგყვებათ.

მოსამზადებლად ერთი საათი მოგვცეს, მხოლოდ ერთი საათი. ამ ერთ საათში უნდა მოგვესწრო კარვების გასაშლელად საჭირო მოწყობილობის შეგროვებაც და სანოვაგის მიღებაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მეორე დილამდე დაგვჭირდებოდა. ბანაკის საწყობში მოგვცეს ხუთი გოგორა პური, იმდენივე ქილა ჯემი, ცოტა შაქარი, კარაქი, კიტრი და პამიდორი. ამას გარდა, ავიღეთ თითო-თითო თხელი საბანი, პატარა ბარი, ვედრო და გზას გავუდექით.

**16 საათი და 30 წუთი.** როცა გამგზავრების წინ მწვანე მოედანზე შევიკრიბეთ, ცა მოიქუფრა, წვიმის მოსვლის წინ რომ იცის ხოლმე, აი, ისე.

მთელმა ბანაკმა გამოგვაცილა, ვინც ადრე იყო ნამყოფი „რობინზონის ქოხში“, აღტაცებული გვეუბნებოდა, ნეტავ მეორედაც გაგვიშვანო.

**17 საათი და 44 წუთი.** აქამდე ზღვის სანაპიროს მივუყვებოდით, ახლა თეთრი არყის ტყეში შევუხვიეთ და საცალფეხო ბილიკს დავადექით. უკან დარჩა ჩვენი ბანაკი და ხალხმრავალი სანაპირო. ტალღების ხმაური ხეების შრიალმა შეცვალა.

თეთრი არყის ტყეში გზას მიიკვლევდა 17 მოგზაური.



ტყის სიჩუმეში გარკვევით ისმოდა ჩვენი ნაბიჯების ხმა.

**18 საათი და 10 წუთი.** მოვედით. ბავშვებს მართალი უთქვამთ, ასეთი რამ ჩემს დღეში არ მენახა. შუაგულ ტყეში, მაღალი ხეების კენწეროზე, ჩალის და ხის ტოტების პატარა ქოხი იყო გამართული. ასასვლელიც ისეთი უცნაური ჰქონდა, რომ მართლაც „რობინზონის ქოხი" მეგონა. ამ ქოხში ზაფხულობით თურმე ერთი აქაური მხატვარი ცხოვრობს, რობინზონივით ყველაფერს თავისი ხელით აკეთებს, მთელი დღე თევზაობს, ღამით კი სიხარულის ქალაქიდან მოსულ სტუმრებს უმასპინძლდება.

ქოხის გარშემო, მეჩხერ ტყეში, პატარა მოედანი იყო, მოედნის შუაგულში კი ძველებური საცეცხლური იდგა. ერთი სიტყვით, ტყის ბილიკზე რომ გადმოვუხვიეთ, ყველაფერი ჩვეულებრივი დამთავრდა და დაიწყო რობინზონის სამფლობელო. ჩვეულებრივი მილსადენის ნაცვლად, მოედნის სიახლოვეს, რაღაც უცნაური ჭა იყო გამართული. წყალი ხის ტოტებისაგან დაწნულ თოკზე მიმაგრებული ხრიკით უნდა ამოგეღო, ცეცხლის გაჩაღება თუ გინდოდა, ძველებური კვესი და აბედი უნდა გეხმარა...

**19 საათი და 25 წუთი.** ქოხში არავინ იყო, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია, საქმეს შევუდექით.

ექვს პიონერს კარვების გაშლა დავავალეთ, ოთხი ფიჩხის შესაგროვებლად წავიდა, ვილიანამ კრასომირა და მარინა ხალასი სოკოების საკრეფად წაიყვანა, ამ ტყეში ბევრი სოკო იცისო. უსაქმოდ არც სხვები დარჩენილან.

**20 საათი.** „რობინზონის ქოხის" გარშემო ცხრა ორადგილიანი კარავი გავშალეთ, შიგ რეზინის გასაბერი ლეიბები შევიტანეთ და ისე კარგად მოვაწყვეთ, რომ ერთი ღამე კი არა, ერთი თვეც შეიძლებოდა ცხოვრება.

**20 საათი და 40 წუთი.** ვახშმობის დროა. გოგოები სამზადისს შეუდგნენ, ჩვენ ცეცხლის დანთება დავაპირეთ, მაგრამ კვესის და აბედის ხმარება არ ვიცოდით. რა უნდა გვექნა?

— ხომ არ მოიწყინეთ? — მოგვესმა ამ დროს ვიღაცის მხიარული ხმა და ბილიკზე რობინზონი გამოჩნდა. გრძელი თმა და წვერი ჰქონდა. თავზე ძველისძველი ქუდი ეხურა და იმიტომ ვიფიქრე, რობინზონი იქნება-მეთქი. ცალ ხელში თევზებით სავსე ბადურა ეჭირა, მეორეში გრძელი სათევზაო ჯოხები. — ახლავე გავაჩაღებთ ცეცხლს და ყველაფერი კარგად იქნება.

ცეცხლის დანთებაზე ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, არც თეთრი ხალათებით შეგვიწუხებია თავი და არც ჯამ-ჭურჭლის რეცხვით. რობინზონმა და მისმა დამატებამ ისეთი გემრიელი ვახშამი მოამზადეს, ალბათ გამოცდილ მზარეულსაც შეეხარბებოდა.

•

მაღლა, ხის კენწეროებს შორის, ვარსკვლავებით სავსე ცა ციმციმებდა. ამაღამ ალბათ საერთოდ არ დამეძინება-მეთქი, გავიფიქრე. მერე ავდექი, ჩემი საძილე ტომარა კარვიდან გარეთ გამოვიტანე, ერთ არყის ხესთან გავშალე, შიგ ჩავძვერი და ისევ კაშკაშა ვარსკვლავებით სავსე ცას მივაჩერდი.

„ეს ცა ალბათ ჩემს სოფელშიც ასეთია, ალბათ ეს ვარსკვლავებიც ასე ციმციმებენ ჩვენს ალაგეზე, — ვესაუბრებოდი ჩემს თავს და ცას შევყურებდი. — ბებიას ტკბილად სძინავს. ჩემს პატარა ძმიკოსაც ტკბილად სძინავს. ვინ იცის, იქნებ სიზმარშიც მნახოს. ბებია აუცილებლად

მნახავს სიზმარში, დილით კი ეკლესიაში წავა და სანთელს აანთებს, რომ სიზმარი კეთილად აუხდეს.

ახლა ალბათ დედაჩემსაც ტკბილად სძინავს. რა ვიცი, იქნებ არც კი სძინავს და ჩემზე ფიქრობს. მოსკოვში რომ მივდიოდი, ასე მითხრა, წერილები მომწერე, თორემ, ხომ იცი, ვერ მოვისვენებო. წერილებს ხშირად ვწერ, მაგრამ იქნებ სწორედ იმიტომ ვერ ისვენებს, ასე ხშირად რომ ვწერ? ნეტავ რას იტყვის, ახლა რომ დამინახოს ასე, ღია ცისქვეშ, ტყეში? ან მამაჩემი რას იტყვის? რომ მივწერო, შუაღამით ტყეში მარტოკა ვიწექი-მეთქი, ხომ არ დამიჯერებს? რა თქმა უნდა, არ დამიჯერებს. მამაჩემს კი არა, მეც არა მჯერა და მიკვირს, რატომ არ მეშინია. მართლა, რატომ არ მეშინია? იქნებ იმიტომ, რომ შორიდან, ძალიან შორიდან, ზღვის ხმაური მესმის? ან იქნებ იმიტომ, რომ ჩემს ზევით ვარსკვლავებით სავსე კამკამა ცაა, აი, ის ცა, ჩემს სოფელშიც რომ მინახავს ხშირად? ან იქნებ იმიტომ, რომ აქვე, ჩემს სიახლოვეს, მზესუმზირისფერ კარავში ვილიანას სძინავს?“..

მზესუმზირისფერი კარავი უცებ შეირხა, კარვის შესასვლელში ვილიანას თავი გამოჩნდა. ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე გამიცინა და ჩურჩულით მითხრა:

— გელა, შენ კიდევ არა გძინავს? ხომ არ...

ხომ არ გეშინიაო, ალბათ, ამის თქმას აპირებდა, მაგრამ მე სიტყვა გავაწყვეტინე და ვუპასუხე:

— რისი უნდა მეშინოდეს, რა მოხდა. შენ ხომ მითხარი, ადრე არ დაიძინოო. აი, მეც არ ვიძინებ.

— არ იძინებ თუ არ გეძინება?

— არ მეძინება. — გამოვტყდი. ვილიანას ასე ადვილად ვერ მოატყუებ.

— მეც არ მეძინება, — მითხრა ვილიანამ და კარვიდან გამოძვრა. — გესმის, როგორ ხმაურობს ზღვა?

— ხვალ ღელვა იქნება.

— ალბათ, მოქცევა დაიწყო და ზღვა იმიტომ ხმაურობს. ახლა ძია სტოიჩკო სანაპიროზე ჩამოივლის და ნაპირზე დარჩენილ ზღვის ნიჟარებს აკრეფს. აი, ხედავ, ტყის პირას ნათურა რომ მოძრაობს? — ტყის განაპირას, ხეებს შორის დროდადრო მართლაც გაიელვებდა ხოლმე რაღაც სინათლე. — ძია სტოიჩკოა, ალბათ ნიჟარებს აგროვებს.

— ძია სტოიჩკო მართლა მეზღვაური იყო?

— ჰო. ადრე მეზღვაური ყოფილა, ოკეანეშიაც დაცურავდა. მერე, ომი რომ დაიწყო, თურმე ერთ პატარა გემზე მუშაობდა და პარტიზანებს ეხმარებოდა. დედაჩემმა მითხრა, ის გემი გერმანელებისა იყო, მაგრამ ძია სტოიჩკოს მალულად იარაღი გადაჰქონდაო. ერთხელ გერმანელების სამხედრო ხომალდს ძია სტოიჩკოს გემი ღია ზღვაში დაუჭერია და გაჩხრეკა რომ დაუწყიათ, პარტიზანებმა თურმე თავისი გემიც ააფეთქეს და გერმანელების დიდი ხომალდიც.

— თვითონაც გემზე იყო მაშინ?

— გემზე იყო, აბა, ისე როგორ ააფეთქებდა!

— სულაც არა, ძია სტოიჩკო იმ დროს გემზე არა ყოფილა, თორემ როგორ გადარჩებოდა? — მოგვესმა უცებ კარვიდან კრასომირას ხმა. კრასომირა ფრთხილად გამოძვრა კარვიდან და გვერდით მოგვიჯდა. — იმ დღეს ძია სტოიჩკო ნაპირზე გადასულა, გემზე კი მეზღვაურებთან თავისი შვილი დაუტოვებია, თხუთმეტი წლის დრაგომირი. გემი იარაღით და ყუმბარებით ყოფილა დატვირთული. ჰოდა, გერმანელებს რომ არ ჩავარდნოდნენ ხელში...

— დაიღუპა? — ერთდროულად ვიკითხეთ მე და ვილიანამ.

— ჰო, დაიღუპა.

აი, თურმე რატომ არ შორდება ძია სტოიჩკო ამ სანაპიროს!

მთვარე ამასობაში მეორე ხეზე გადაცოცდა და რობინზონის ქოხის კარებთან ჩამოეკიდა. სწორედ იქ, სადაც ადრე ნათურა ციმციმებდა. ტყეში თანდათან აცივდა, მერე ტალღების ხმაურში ფოთლების შრიალის ხმაც შეიჭრა და ტყის სიღრმიდან გრილმა ნიავმა დაუბერა.

— აი, ტყის კეთილი მეზღაპრეც მოვიდა, — დაარღვია სიჩუმე კრასომირამ და საძილე ტომარაში გულდაგულ გაეხვია. — ძია სტოიჩკო გვეუბნება, არყის ტყეში კეთილი მეზღაპრე ცხოვრობსო. აქ რომ იყოს, ალბათ ზღაპარსაც გვიამბობდა.

— კეთილი გლეხისა და ერთი ნატვრისთვლის ზღაპარს, — დაუმატა ვილიანამ. — სულ ამ ზღაპარს გვიყვება ხოლმე...

— კეთილი, რახან მთხოვთ, ერთი ნატვრისთვლის და გულკეთილი გლეხის ამბავს გიამბობთ, — ალბათ ასე დაიწყებს თავის ზღაპარს ძია სტოიჩკო. — ამ გლეხს, მგონი, პავლე ერქვა სახელად. არ ვიცი, იქნებ სხვა სახელი ერქვა, მაგრამ, აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? რაც ერქვა, ერქვა. რაც მთავარია, ერთი უბრალო და მშრომელი მწყემსი იყო, გულკეთილი, გულუხვი. როცა ვინმეს ოჯახში რამე გაუჭირდებოდა, ან ცხვარი თუ გაუხდებოდა ავად, ყველა მასთან გარბოდა, არიქა, ძია პავლე, ვიღუპებით, გვიშველეო. ძია პავლე რისი მწყემსი იყო, გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს თუ არ დაეხმარებოდა!

ერთი სიტყვით, გულკეთილი კაცი იყო და კარგადაც ცხოვრობდა. ბალკანეთის მთებში, საძოვრებზე, ორი ფარა ცხვარი ჰყავდა გაშვებული, მთის ძირას კი ერთი პატარა ფარეხი ჰქონდა გამართული. საღამო ხანს, მთის ფერდობებზე ბინდი რომ ჩამოიპარებოდა, ცხვარს იმ ფარეხში შერეკავდა. თვითონაც იქვე იძინებდა, თავის ხელით გამართულ ქოხში. ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა ძია პავლეს — ყველიც, პურიც და კეთილი გულიც. კაცისთვის კეთილ სიტყვას და რჩევას არ დაიშურებდა, მშიერს დააპურებდა, მწყურვალს წყალს დაალევინებდა, ყარიბ მოგზაურს თავის ქოხში შეიფარებდა. ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა, ყველაფერი, ერთი პატარა და უბრალო ჭრაქი კი ვერ იქნა და ვერ იშოვნა. ვახშმობითაც სიბნელეში ვახშმობდა ძია პავლე, სიბნელეში ეძინა და ძილშიც კი იმაზე ფიქრობდა, ტყეში ვინმეს გზა რომ აებნეს, ამ უკუნეთ ღამეში ჩემს ქოხს ვერ შეამჩნევს და ვერ შეისვენებსო.

ერთხელ, ტყის პირას ფარას რომ აძოვებდა, ტყიდან რაღაც უცხო ხმაური მოესმა. გაუკვირდა, ნეტავ რა არისო. ტყიდან გარკვევით ისმოდა ცეცხლის ტკაცატკუცი და ვიღაცის წრიპინა ხმა, მიშველეთ, მიშველეთო. ძია პავლე ტყეში შევიდა და რას ხედავს: ერთ დიდ, ბებერ მუხას ცეცხლი წაჰკიდებოდა. იწვის საცოდავი მუხა. ალმოდებულ ტანზე ფოთლებს და ხავსს იფარებს, მაგრამ, აბა, ცეცხლთან რას გახდება. ცეცხლის ალი მხიარულად ტკაცუნებს და კენწეროსკენ მიიწევს.

— მიშველეთ, მიშველეთო, — მოესმა ძია პავლეს ისევ ვიღაცის წრიპინა ხმა და მაღლა აიხედა. ხის კენწეროზე, ერთ პატარა ფუღუროში, ერთი პატარა ხვლიკი შემძვრალიყო და საცოდავად წრიპინებდა:

— კეთილო მწყემსო, დამეხმარე, დაღუპვას გადამარჩინეო.

— აბა, მე როგორ გიშველოო, — უპასუხა ძია პავლემ და გული დასწყდა, საცოდავ ხვლიკს მართლა რომ ვერ შველოდა. — ცეცხლი მთელ ხეს მოსდებია და როგორ ამოვიდეო.

— ამოსვლა რად გინდაო, — უთხრა ხვლიკმა. — შენ კომბალი მომაწოდე და მე თვითონ ჩამოვცოცდებიო.

— ეს როგორ ვერ მოვიფიქრეო, — ჩაილაპარაკა მწყემსმა და კომბალი მოიმარჯვა, მაგრამ ხე ისეთი მაღალი იყო, შუამდეც ვერ მიუწვდინა. — ახლავე მოვალ, ნუ გეშინიაო, — ასძახა ძია პავლემ კვამლში გახვეულ ხვლიკს, ალვის ხესთან მიირბინა, ერთი გრძელი ტოტი მოსჭრა და ხვლიკი ცეცხლიდან გამოიყვანა. საცოდავი ხვლიკი ისე იყო შეშინებული, ხმას ვერ იღებდა, მერე, ცოტა რომ დამშვიდდა, ძია პავლეს ეუბნება:

— ახლა ჩემი ჯერია, კეთილო კაცო, მინდა ამ სიკეთისთვის დაგასაჩუქროო.

— რით უნდა დამასაჩუქროო? — ეკითხება მწყემსი.

— მე ხვლიკების ხელმწიფის ქალიშვილი ვარ, მამაჩემი ერთ დიდ, ბნელ გამოქვაბულში ცხოვრობს. უამრავი ქონება აქვს, თავზე ოქროს გვირგვინი ადგას, გვირგვინზე ცხრა ნატვრისთვალი უბნევია. ეს ქვები ისე ანათებენ, ცხრა მზეც ვერ შეედრება. წამომყევი და ერთ ასეთ ქვას შენ გაჩუქებ, რადგან დღეს დაღუპვას გადამარჩინეო, — უთხრა პატარა ხვლიკმა.

ძია პავლე და პატარა ხვლიკი გზას გაუდგნენ. იარეს, იარეს და მალე გამოქვაბულთანაც მივიდნენ.

— შენ აქ მომიცადე, მე ახლავე დავბრუნდები და ქვას მოგიტანო, — უთხრა ხვლიკმა და გამოქვაბულში შევიდა.

ძია პავლე შესასვლელთან ერთ დიდ ქვაზე ჩამოჯდა. მოსაღამოვდა. ჩიტებმა ბუდეებს მიაშურეს, ძია პავლეს კი ფეხიც არ მოუცვლია, იჯდა და ხვლიკს ელოდა. ამასობაში კიდეც ჩამოღამდა. ირგვლივ ისეთი უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ნეტავ ჩემი ფარა რა დღეშია, მგელმა ხომ არ დამიფრთხოო, — გაიფიქრა ძია პავლემ და ის იყო, უკან უნდა გაბრუნებულიყო, რომ გამოქვაბულთან პატარა ხვლიკის ხმა მოესმა: — მოვდივარ, მოვდივარო.

და ირგვლივ უცებ დღესავით განათდა. თურმე ხვლიკს ნატვრისთვალი გამოეტანა და მიდამოს მზესავით ის ანათებდა. უცებ მინდვრის ყვავილები წელში გაიმართნენ, ჩიტებმაც ფრთა ფრთას შემოჰკრეს და აჭიკჭიკდნენ.

— გამომართვი, ეს ქვა შენ მოგიტანე, — უთხრა პატარა ხვლიკმა ძია პავლეს. — შინ რომ მიხვალ, ნატვრისთვალი მიწაზე დადე და სამჯერ უთხარი: „ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო, გული უნდა გამიხარო-თქო“. მერე რასაც მოისურვებ, ყველაფერი აგისრულდებაო.

ძია პავლემ პატარა ხვლიკს მადლობა გადაუხადა, ნატვრისთვალი თავის გუდაში ჩადო და შინისკენ გამოეშურა. ფარა თავისით შესულიყო ფარეხში, ქოხის კარებთან კი პატარა ფინია და კატის კნუტი ელოდნენ. ქოხში რომ შევიდა, ძია პავლემ ნატვრისთვალი გუდიდან ამოიღო და ბუხარზე დადო. ოთახი უცებ ისევ განათდა. ფინიამ და კატის კნუტმა თვალებზე თათები აიფარეს, შეშინდნენ, ასეთმა სინათლემ არ დაგვაბრმავოსო.

ძია პავლემ გემრიელად ივახშმა, მერე ბუხართან ჩამოჯდა და თავის თავს ეუბნება:

— აბა, ამის მეტი ამ მანათობელ ქვას რა უნდა ვთხოვო? მე ხომ ისედაც ყველაფერი საკმარისი მაქვს — ქოხიც, ცხვარიც და ფარეხიც. დღის სინათლე მაკლდა ღამით და ახლა ეს ნატვრაც ამისრულდა, ვახშმობის დროსაც მზე მინათებსო!

დაწვა ბედის კმაყოფილი ძია პავლე და ტკბილად დაიძინა. კარგა ხანს ეძინა, მერე უცებ გაიღვიძა და თავის თავს ეკითხება:

— რა იქნება, ნატვრისთვალი რომ გამოვცადო? თუ მართლა ნატვრისთვალია, აბა, ერთი თეთრი ქვის სასახლე ამიშენოსო.

წამოდგა ძია პავლე, ნატვრისთვალი მიწაზე დადო და ეუბნება:

— ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო, გული უნდა გამიხარო. აბა, ამ ქოხის ადგილზე თეთრი ქვის სასახლე ამიშენეო!

ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ღარიბული ქოხი სადღაც გაქრა, მის ადგილზე კი თეთრი ქვის დიდი სასახლე აღიმართა. ამ სასახლეს სულ ბროლისა და სარკის კედლები ჰქონდა, იატაკი ფერადი ქვებით იყო მოხატული. დადიოდა ძია პავლე ამ ზღაპრულ სასახლეში და გაკვირვებული ხან სარკეებში იხედებოდა, ხან იატაკს სინჯავდა ხელით, სიზმარში ხომ არა ვარო. მერე სიმართლეში რომ დარწმუნდა, ნატვრისთვალი თეთრი ბროლის ბუხარზე ჩამოდო და ტახტზე წამოწვა.

სად იყო და სად არა, სწორედ იმ საღამოს ძია პავლეს ერთი მეზობელი ეწვია სტუმრად, ივანე მწყემსი.

— მოვედი, გინახულო, როგორა ცხოვრობ, რამე ხომ არ გიჭირს, — ეუბნება ივანე მწყემსი ძია პავლეს. — ერიჰა, ეს რა სასწაულია, ეს თეთრი ქვის სასახლე ვინ აგიშენაო?

— ვინა და ნატვრისთვალმაო, — უპასუხა ძია პავლემ.

— რომელმა ნატვრისთვალმაო, — გაუკვირდა ივანე მწყემსს. — აბა, ერთი მიჩვენე, როგორი არის ეგ შენი ნატვრისთვალიო.

ძია პავლემ ნატვრისთვალი ბუხრიდან ჩამოიღო და მეზობელს უჩვენა. ივანე მწყემსმა მანათობელი ქვა დაკვირვებით შეათვალიერა და ძია პავლეს ეუბნება:

— რას ამბობ, ძია პავლე, ამ პატარა ქვამ ამოდენა სასახლე როგორ აგიშენაო?

ძია პავლემაც უამბო ყველაფერი, რაც ტყეში შეემთხვა. ზღაპრული ქვის საიდუმლოც გაუმხილა, მერე კი, სტუმრის წასვლის დრო რომ მოვიდა, ივანე მწყემსს სთხოვა:

— ამაღამ ჩემთან დარჩი, ჩემს ახალ სასახლეში გაათიე ეს ღამეო.

— კეთილი, მაგრამ სად დამაწვენო?

— აგერ, ჩემს გვერდით დაწექი, ქვის ხალიჩაზეო, — შესთავაზა ძია პავლემ.

— არა, ამ ცივ ხალიჩაზე რა დამაძინებს, ჩემს ქოხში წავალ, ჩემი ბუხარი მირჩევნიაო, — უთხრა ივანე მწყემსმა, ქუდი დაიხურა და თავისი ქოხისკენ გაეშურა.

ძია პავლე მარტოკა დარჩა თავის დიდსა და ცივ სასახლეში. ხალიჩაზე წამოწვა, მაგრამ ვერ დაიძინა, სულ იმას ფიქრობდა, ივანემ მართალი მითხრა, ამოდენა სასახლე რად მინდა, პატარა თბილი ბუხარიც მეყოფოდაო. ეს რომ გაიფიქრა, ბროლის ბუხრიდან მანათობელი ქვა ჩამოიღო, მიწაზე დადო და სთხოვა, ჩემი ძველი ქოხი და თბილი ბუხარი დამიბრუნე, ეს სასახლე კი ვისაც გინდა, იმას მიართვიო. ვეებერთელა სასახლის ადგილას ისევ პატარა ქოხი გაჩნდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ტახტზე კი ძია პავლეს ძველისძველი ნაბადი იყო გაშლილი.

ძია პავლე წამოწვა და ნატვრისთვალს ეუბნება:

— შენი არაფერი მინდა, იყავი შენთვის და ანათე, კეთილ ხალხს ჩემი ქოხის გზა გაუნათეო.

მას შემდეგ ძია პავლეს ნატვრისთვალი ბალკანეთის მაღალ მთებში ბრწყინავს, ბრწყინავს და გზას უნათებს ყველას, ვისაც ამ ქვეყანაზე სხვისი არაფერი უნდა, ვინც სხვებზე ზრუნავს და სხვებისათვის ცოცხლობს...

თეთრი არყის ტყეში კეთილი მეზღაპრე დადიოდა, მიძინებული ხეების ფოთლებს და მზესუმზირისფერი კარვების კალთებს აშრიალებდა. მთვარე ისევ არყის ტოტებზე იჯდა. იჯდა და ისვენებდა. ის უცნაური ნათურაც ისევ ტყის პირას დაცხეტებოდა და ნაპირზე გამორიყულ ნიჟარებს აგროვებდა.

— გელა, რაზე ფიქრობ? — მკითხა ვილიანამ. — ის ნატვრისთვალი შენ რომ გქონოდა, რას ინატრებდი?

— რას ვინატრებდი?

— ჰო, რას ინატრებდი?

აბა, რა პასუხი უნდა გამეცა? რას ვინატრებდი! ზღაპრული ნატვრისთვალი თუ ჩაგივარდება ხელში, ალბათ ისეთი რამ უნდა ინატრო, რაც სხვა ადამიანებსაც გამოადგებათ. ძია პავლემაც ხომ ასე უთხრა თავის პატარა ქვას, შენი არაფერი მინდა, იყავი და ანათე, ხალხს ჩემი ქოხის გზა გაუნათეო! ალბათ, მეც ასეთ რამეს ვინატრებდი. ალბათ ვილიანაც ასე მოიქცეოდა და კრასომირაც. ალბათ ყველა ასე მოიქცეოდა, ყველა ისეთ რამეს ინატრებდა, რაც...

— იცით, მე რას ვინატრებდი? — გვითხრა მე და ვილიანას კრასომირამ: — ნატვრისთვლების ერთ დიდ ყულაბას.

— ნატვრისთვლების ყულაბას? — გაეცინა ვილიანას.

— ჰო, ნატვრისთვლების ერთ დიდ ყულაბას ვინატრებდი. მოვიდოდი შენთან და გეტყოდი, აი, ვილიანა, ნატვრისთვალი მოგიტანე და ინატრე, რაც გინდა-მეთქი. შენც ინატრებდი და აგისრულდებოდა. ზღაპარია, მაგრამ რომ გამართლდებოდეს, განა ცუდი იქნებოდა?

კრასომირამ მართალი თქვა, ზღაპარია, მაგრამ ზოგჯერ ზღაპარიც ხომ მართლდება ხოლმე? მივიდოდით ჩვენს მეგობრებთან, ყველგან მივიდოდით, ჩრდილოეთ პოლუსზეც და შორეულ აფრიკაშიც. „სიხარულის ქალაქის“ სტუმრებთანაც მივიდოდით. მათაც ხომ აქვთ თავისი ოცნება და საფიქრალი, აი, ის, რაზედაც ყოველდღე ვლაპარაკობთ შეკრებებზე და შეხვედრებზე. ჰოდა, პირველ რიგში სწორედ მათთან მივიდოდით და ვეტყოდით:

— აი, მეგობარო, ნატვრისთვალი მოგიტანეთ. ინატრე, რაც გინდა და ყველაფერი აგისრულდება!

## ნატვრისთვლებით სავსე ყულაბა

— აი, მეგობარო, ნატვრისთვალი მოგიტანეთ. ინატრე რაც გინდა, და ყველაფერი აგისრულდება!



**სენ იატ ვენი.** სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი „სიხარულის ქალაქში“ პარტიზანების მხვერავი. მისი მისამართია: სამხრეთ ვიეტნამი, ჯუნგლები, პარტიზანების მთავარი ბანაკი.

— მე ერთ ჩემს მეგობარ გოგონაზე გიამბობთ, ჩვენი რაზმის მზვერავზე. მას ხიუინ ლან ხანი ერქვა სახელად, მაგრამ ჯუნგლებში ყველანი „პატარა მზვერავს“ ეძახდნენ. მერე, იმ ამბის შემდეგ, სახელად „ცის შვილი“ შეარქვეს...

ჩვენ ჯუნგლებში ვცხოვრობთ, ვიეტნამის გაუვალ ტყეებში, საიგონიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით. ჩვენი სათვალთვალო პუნქტიდან შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოჩანს საიგონის მრავალსართულიანი შენობები და ამერიკული თვითმფრინავებით სავსე აეროდრომი. იქ კი, ჯუნგლებში, იმ დიდი აეროდრომიდან სულ რაღაც თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, პარტიზანების მთავარი ბანაკია მოწყობილი. ლერწმის პატარა ქოხები მიწისქვეშა გადასასვლელებით უკავშირდება ერთმანეთს. ერთ ასეთ ქოხში დროებითი რევოლუციური მთავრობის შტაბია მოთავსებული. კედლებზე რუკებია გაკრული, პატარა მაგიდაზე კი ტელეფონი დგას და გამუდმებით რეკავს, ზოგჯერ ახლო-მახლო სოფლებს და ბრინჯის მინდვრებს თვითმფრინავები ბომბავენ, მიწიდანაც ცეცხლის შადრევანი ადის და კუდმომწვარი თვითმფრინავი მიწას ენარცხება, შტაბის ტელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფონი კი სულ რეკავს, მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდება:

— კამაუ... კამაუ... ალო, კამაუ!.. ლაპარაკობს შტაბი... ლაპარაკობს შტაბი... ალო, კამაუ... კამაუ!..

ხიუინ ლონ ხანიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ჯუნგლებში, პარტიზანების ბანაკში. დაზვერვაზე ერთად დავდიოდით, დაბომბილი სოფლებიდან დაჭრილებიც ერთად გამოგვყავდა ხოლმე. ერთხელ, გაზაფხულზე, ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ნაღმები ჩავაწყვეთ. უკან გამობრუნება რომ დავაპირეთ, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ამერიკელების სამხედრო მანქანა. ნაღმი აფეთქდა, ოთხი თუ ხუთი ჯარისკაცი მანქანიდან გადმოვარდა, დანარჩენებმა კი სროლა აგვიტეხეს. მე და ხიუინ ლანი სხვადასხვა მხარეს გავიქეცით. ერთად რომ გვევლო, უფრო სახიფათო იყო. ბანაკში გვიან ღამით დავბრუნდი და მაშინვე ხიუინ ლანი ვიკითხე, მაგრამ იგი არსად ჩანდა. რაზმის უფროსს ეს ამბავი რომ შევატყობინე, დამამშვიდა, ასე მითხრა, ნუ გეშინია, ხიუინ ლანი ჯუნგლებს ჩვენზე კარგად იცნობს და მალე გამოჩნდებაო. თუმცა, სხვა რა უნდა ეთქვა, რომ მოგვენდომებინა კიდეც, საძებრად მაინც ვერ წავიდოდით — ჯუნგლებში ღამით კი არა, დღისითაც ძნელია კაცის პოვნა. თანაც, ღამით ჯუნგლების თავზე სამხედრო პატრულის ვერტმფრენები დაფრინავენ და სინათლის ანთება აკრძალული გვაქვს. რა უნდა გვექნა, ვისხედით და ველოდით. თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ ხიუინ ლანი ჩვენზე კარგად იცნობდა ჯუნგლებს და გზა არ აერეოდა.

მართლაც, ინათა თუ არა, ხიუინ ლანიც გამოჩნდა. მხარში დაჭრილიყო, მაგრამ ტკივილს არ იმჩნევდა და მშვიდად გვიყვებოდა, როგორ დააღწია თავი ამერიკელ ჯარისკაცებს. ალბათ ჩემი ცოცხლად დაჭერა უნდოდათ და სანამ ტყეში შევასწრებდი, ერთხელაც არ უსროლიათო, — გვითხრა ხიუინ ლანმა, — მერე კი ბევრიც მდიეს, მაგრამ ჯუნგლებში რას მიპოვნიდნენო!

ერთხელ პარტიზანების მიერ განთავისუფლებულ სოფელში წავედით, იქაურმა ბავშვებმა შეკრებაზე მიგვიწვიეს. ჰო, მართლა, თქვენთვის აქამდეც უნდა მეთქვა: ამერიკელი და საიგონელი ჯარისკაცებისაგან განთავისუფლებულ სოფლებში დროებითი რევოლუციური მთავრობა მემამულეების მიწებს გლეხებს ურიგებს, ღარიბების შვილებისთვის კი სკოლებს ხსნის. ბავშვები ღია ცის ქვეშ მეცადინეობენ, თავისი ხელით გაკეთებულ

მერხებზე. ამ მერხების გვერდით ვიწრო სანგრებია გათხრილი, რომ თვითმფრინავების თავდასხმის დროს მოსწავლეებმა თავი შეაფარონ. ჰოდა, ერთ ასეთ სკოლაში მიგვიწვიეს პიონერულ ზეიმზე. შეკრება რომ დამთავრდა, საბჭოთა კავშირიდან მიღებული საჩუქრები დაგვირიგეს. მე ახალი ჩანთა და ფანქრები მერგო, ხიუინ ლანს კი ფერადი სურათების დიდი ალბომი აჩუქეს. ამ ალბომზე ოქროსფერი ასოებით ეწერა „არტეკი", შიგ კი ბარათი იდო, მოსკოველი პიონერები არტეკში გვეპატიჟებოდნენ.

ამის შემდეგ ხიუინ ლან ხანი სულ იმაზე ოცნებობდა, როგორმე არტეკში მოხვედრილიყო და თავისი საყვარელი სიმღერა ემღერა. ამ სიმღერას ჩვენში „ლერნანს" — განთიადის საგალობელს ეძახიან. ხიუინ ლანი სიმღერას რომ დაიწყებდა, ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდებოდა, ჯუნგლებში მხოლოდ მისი წკრიალა ხმა ისმოდა. ალბათ ყველანი, ტყეცა და ადამიანებიც, იმ სამ განუყოფელ მეგობარზე ფიქრობდნენ, ხიუინ ლანი რომ უმღეროდა — კეთილ მზეზე, ალერსიან ნიავზე და გულუხვ წვიმაზე. ისინი ადამიანებთან ერთად დგებიან დილაადრიან და გვიან ღამემდე ტრიალებენ ბრინჯის მინდვრებში, მოსავლის აღებაში ეხმარებიან გლეხებს.

ხიუინ ლან ხანი სულ ამაზე ოცნებობდა, მაგრამ არტეკში ვერ ჩავიდა. ის „სიხარულის ქალაქშიც" ვერ ჩამოვა, ვერასდროს ვერ ჩამოვა, — თვალებზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა სენ ვენმა. — ეს ამბავი ტყვედ ჩავარდნილმა ამერიკელმა მფრინავმა გვიამბო...

მზე უკვე მთებს იქით იქნებოდა გადასული, როცა ზღვისპირა აეროდრომიდან ამერიკელთა ექვსი ვერტმფრენი აფრინდა. მეთაურმა მათ დავალება მისცა, ქალაქ გუეს ახლოს სამი სოფელი შეემოწმებინათ და ადგილზე დაეხვრიტათ ყველა, ვინც კი საეჭვოდ მოეჩვენებოდათ. ვერტმფრენები ორ საათს ტრიალებდნენ ჯუნგლების თავზე, მერე სოფლებისკენ გაფრინდნენ და ლერწმის ქოხებს ცეცხლი წაუკიდეს, თუმცა სოფლებში მაშინ არავინ იყო. ალბათ გლეხებმა ადრევე შეამჩნიეს ვერტმფრენები და ტყეს შეაფარეს თავი.

როცა მფრინავებმა თავისი საქმე გაკეთებულად ჩათვალეს და უკან გაბრუნებას აპირებდნენ, ტყის პირას სწორედ ამ დროს გამოჩნდა პარტიზანთა ჯგუფი. მათ წინ პატარა გოგონა მოუძღოდა. გოგონამ ამერიკელები რომ დაინახა, დაიყვირა, თავს უშველეთო, და თვითონაც ტყისკენ გაიქცა.

ორმა ვერტმფრენმა პარტიზანებს ტყისკენ დასახევი გზა გადაუჭრა. ახლა უკან დახევაც სახიფათო იყო, მაგრამ პარტიზანებმა მაინც მოასწრეს ტყისთვის თავის შეფარება. ტყის პირას მხოლოდ ექვსი ვერტმფრენი და ის პატარა გოგონა დარჩნენ, ჩვენი ხიუინ ლან ხანი... ამერიკელებმა მას ხელით ანიშნეს, წინ გაგვიძეხი, ბანაკის გზა გვიჩვენეო. გოგონამ თავდაპირველად ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, მერე უფრო გასაგებად რომ აუხსნეს, უარის ნიშნად თავი გაიქნია. მეთაური დაემუქრა, მერე ჯარისკაცებმა ცემაც დაუწყეს, დამსკდარი ტუჩებიდან სისხლი სდიოდა, რამდენჯერმე ავტომატის კონდახიც დაარტყეს, ის კი მაინც ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა.

— საკმარისია, ხელში არ შემოგვაკვდეს, — თქვა ყველაზე უფროსმა და ვერტმფრენის კარი გამოაღო.

— გავუშვათ? — იკითხა მეორემ.

— გათოკეთ და ჩემს კაბინაში შეაგდეთ, — თქვა ისევ ყველაზე უფროსმა. — არა უშავს, ბაზაში რომ მივიყვანთ, მერე ალაპარაკდება.

ხიუინ ლან ხანი გათოკეს, ვერტმფრენის კაბინაში შეაგდეს და ბაზისკენ გაფრინდნენ. მფრინავმა რამდენჯერმე რაღაცა ჰკითხა, ერთი-ორჯერ ჯუნგლებზეც რაღაცა ანიშნა ხელით, მაგრამ ხიუინ ლანს პასუხი არ გაუცია. მალე ჯუნგლებს თავზე გადაუფრინეს და ზღვის სანაპიროსკენ აიღეს გეზი. აეროდრომამდე ოცი თუ ოცდაათი კილომეტრი იქნებოდა დარჩენილი. უცებ ვერტმფრენი შეირყა. მფრინავი რომ შემობრუნდა, კაბინის კარი ღია იყო, გოგონა კი...

გაოცებულმა მფრინავმა თვალი მოჰკრა გოგონას სხეულს, ჯუნგლებისკენ რომ მიექანებოდა. ხუინ ლანმა ტყვეობას სიკვდილი არჩია...

ახლა, ამ ამბავს რომ გიამბობთ, ჩემი მეგობრები ალბათ ბრინჯის ყანებში მუშაობენ და ხიუინ ლან ხანის საყვარელ სიმღერას მღერიან. ალბათ, გაუვალ ტყეში ჩასაფრებული პარტიზანებიც ამ სიმღერას მღერიან. ხიუინ ლან ხანი ხომ იმიტომ დაიღუპა, რომ ადამიანებმა კეთილ მზესთან, ალერსიან ნიავთან და გულუხვ წვიმასთან ერთად მშვიდად იშრომონ ბრინჯის ყანებში და მოსავალი აიღონ.

ჩვენც ამაზე ვოცნებობთ ყოველთვის, როცა ხიუინ ლან ხანის საყვარელ სიმღერას ვმღერით...

დასასრული შემდეგ ნომერში



11.385

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი პიონერები



გიორგი აბესაძე.

საქართველოს პირველი პიონერების საქმიანობაზე გვესაუბრება პერსონალური პენსიონერი გიორგი აბესაძე, რომელიც 1924-1925 წლებში თბილისის ლენინის რაიონის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო.

გოგონები და ბიჭები, რომელთა შესახებაც გესაუბრებით, იმ რთულ, საინტერესო წლებში ცხოვრობდნენ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა სამოქალაქო ომში მიღებულ მძიმე ჭრილობებს იშუშებდა, ახალ ცხოვრებას — სოციალიზმის მშენებლობას იწყებდა. და აი, ამ დიდ სახელმწიფო საქმეში, მთელი ბავშვური გატაცებითა და ახალგაზრდული მონდომებით, მშობლების გვერდით, ხალხთან ერთად იყვნენ პირველი პიონერები...

. . .

ხმაურობდნენ ვაგონის ბორბლები, ჟრიამული იდგა მთელ მატარებელში, რომელიც ნიჩბებითა და წერაქვებით შეიარაღებული ხალხით იყო სავსე. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახით ბრუნდებოდნენ ისინი თბილისში. რაოდენ სიხარულს გამოხატავდა იმ ადამიანების სახე, რომლებმაც ბარი დაჰკრეს ავჭალის მიწას და საძირკველი ჩაუყარეს ახალი ფაბრიკა-ქარხნების დაზგების აგუგუნებას, საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ელექტრონათურებით აციმციმებას...

უამრავი ხალხი იყო იმ დღეს ავჭალის მიდამოებში. თითქმის მთელი თბილისი გამოსულიყო შაბათობაზე და, რასაკვირველია, ბავშვებსაც არ მოუთმინა გულმა. უფროსებმა უარი უთხრეს, პატარები ხართ, დაიღლებითო, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს და აი, ახლა, ხელებდაკოჟრებულნი, დაღლილნი, მაგრამ ამაყნი სხედან ვაგონში.

ხმაურობდნენ ბორბლები, თითქოს ანგარიშობდნენ, რამდენჯერ დაჰკრეს ბარი და წერაქვი პიონერებმა, რამდენი მეტრი მთის კალთა მოანგრიეს... მღეროდნენ გოგონები და ბიჭები იმ ნორჩ კომუნარზე, რომელიც ბარიკადზე დაეცა გმირთა სიკვდილით, და ამ სიმღერით ჩინებულად გამოხატავდნენ თავიანთი გულის წადილს.

საღამოთი შალვა ლეჟავა, გრიშა შავდია, ალექსი სანაკოევი, კლავა იაკიმჩიკი, ზინა ვარლამოვა და მათი მეგობრები ამაყი მზერით მიაბიჯებდნენ თბილისის ქუჩებში, მაღლა აღემართათ ნიჩბები და წერაქვები. ყველამ, დაე ყველამ დაინახოს, რომ ისინიც იყვნენ ზაჰესის პირველ შაბათობაზე, მათაც მოუსმინეს სერგო ორჯონიკიძეს, მასთან ერთად დაჰკრეს პირველი ბარი...

. . .

მეორე დღეს კი კვლავ მშობლიური რკინიგზის დეპო, ნაცნობი წითელი კუთხე და კომკავშირელი მეგობრები, რომლებიც პიონერულ კოლექტივს ხელმძღვანელობენ (მაშინ ხომ პიონერული რაზმები საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან იქმნებოდა. ერთი ასეთი რაზმი რკინიგზის სამმართველოსთან იყო ჩამოყალიბებული). ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, მოდიან აქ პიონერები, ორთქლმავლების გუგუნში კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, აფორმებენ თავიანთ კუთხეს, გადიან რეპეტიციებს, ემზადებიან ეზოებში ანტირელიგიური საღამოების ჩასატარებლად...

— მივდივართ! — შესძახებენ ორთქლმავლებზე მომუშავე ახალგაზრდებს და ხტუნვა-ხტუნვით გაუყვებიან ქუჩებს. მცირე ხანიც და, რაოდენ შეიცვლება ასკინკილათი მოხტუნავე ბიჭებისა და გოგონების სახის გამომეტყველება, როდესაც გადაშლილ ანბანს ჩაუჯდებიან.

— აი, ასე იწერება „ანი“.

— ასე იწერება „ბანი“. — უხსნიან მოხუცებს თამარ კვასხვაძე, სერგო ოჩიგავა, ვლადიმერ შანგუა და დაკოჟრილ ხელებს ზემოდან ნაზად ედება ნორჩი ხელი. — ასოების მოხაზულობას ასწავლიან პიონერები, სწორედ ისე, როგორც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მათ ასწავლიდა მასწავლებელი.

აბა რა გააჩერებდათ, როდესაც შეიტყვეს, კომკავშირლები მოხუცებს წერა-კითხვას ასწავლიანო. მათაც მოინდომეს და ნებართვაც მიიღეს. ახლა ყოველ მათგანს ჰყავს მოწაფე, ყოველი მათგანი მონაწილეობს იმ დიდ ლაშქრობაში, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოაცხადა კომუნისტურმა პარტიამ.

. . .

შენდებოდნენ ქალაქები და სოფლები, ჭრილობებს იშუშებდა ნაომარი ქვე-




ყანა. ყველგან იყო საჭირო დიდძალი მინა. მინა! — მოითხოვდნენ ფაბრიკა-ქარხნები; მინა! — მოითხოვდნენ ახალი მშენებლობები...

ბოთლები აკლდა ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანას. საფრთხეში იყო საწარმოო გეგმის შესრულება. და აი, მოულოდნელად გავარდა ხმა: ,,იქნება ბოთლები, საქმე არ შეფერხდება! — ამას ამბობენ პიონერები".

ნორჩები ეზოებში დადიოდნენ, ჩადიოდნენ სარდაფებში, ადიოდნენ სხვენზე, არ ერიდებოდნენ მტვერს და დაღლას, აგროვებდნენ ბოთლებს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი რკინიგზის დეპოს მუშები მოზრდილი ვაგონის დატვირთვაში ეხმარებოდნენ პიონერებს და, როცა ვაგონი მატარებელს მიაბეს, აგუგუნდა მუსიკა, გაისმა ბავშვების ჟრიამული. ვაგონზე გაკრულ წითელ ქსოვილზე თეთრი ასოებით ეწერა: ,,ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანას თბილისის რკინიგზის სამმართველოს პიონერული კოლექტივისაგან".

რამდენიმე დღის შემდეგ პიონერებმა ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნის კომკავშირელებისაგან მადლობის დეპეშა მიიღეს: ,,თბილისის რკინიგზის სამმართველოს პიონერული კოლექტივის წევრებს. ხუთწლედის გეგმის დროზე შესრულების საქმეში თქვენ დიდი დახმარება გაგვიწიეთ. მიიღეთ ჩვენი მადლობა". ეს დეპეშა წითელ კუთხეში, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრეს ყმაწვილებმა.

. . .

მატარებლიდან გადმოსულებს სადგურზე ორთვალა ან საზიდარი არ დახვედრიათ. ეს არავის გაჰკვირვებია — კარგად იცოდნენ, სოფელში თესვა იყო და ცხენებს ვერ მოაცდენდნენ.

ხანდაკისაკენ მიმავალ გზას ფეხით გაუყვნენ. სოფლელი ბავშვები გატაცებით უამბობდნენ ქალაქელ მეგობრებს ახალჩამოყალიბებული კოლმეურნეობის პირველ მიღწევებზე, პირველ საქმეებზე, — კარგ დროს ჩამოხვედით, დღეს თესვაში ვეხმარებითო უფროსებს...

მერე რა, რომ ყველა ჩამოსული კარგად ვერ გარკვეულიყო სოფლის საქმეებში. მეგობარი რის მეგობარია, თუ არ გასწავლის და მხარში არ ამოგიდგება!.. ერთად, მუყაითად შრომობდნენ მინდორში. დაუღალავი, არავის წამოსცდენია, შებინდებამდე სოფელში არავინ დაბრუნებულა... ხოლო როდესაც ქოხ-სამკითხველო გლეხებით გაივსო, ქალაქელ პიონერთა აგიტბრიგადამ კონცერტი დაიწყო.

— დღეს ჩვენ ლამპის შუქზე გამოვდივართ, მაგრამ სულ მალე ილიჩის ნათურები აციმციმდებიან! — თქვა პიონერთა კოლექტივის თავმჯდომარემ ანდრო კაპანაძემ და მისი სიტყვები ტაშმა დაფარა. როდესაც ღამით პიონერები მატარებლისაკენ მიაბიჯებდნენ, მათ არ აშინებდათ ის აზრი, რომ ბუჩქებს იქით შეიძლება კლასობრივი მტერი — კულაკი ყოფილიყო ჩასაფრებული! ასეა, დიდი სახალხო საქმეები გოლიათურ ძალას აძლევენ ადამიანს!..

თბილისელები ხშირად ჩადიოდნენ ხანდაკში, სოფლის პიონერებთან. ეხმარებოდნენ ქოხ-სამკითხველოს მოწყობაში, კონცერტების გამართვაში, ერთად ანთებდნენ ხუთმუგუზლიან პიონერულ კოცონს, სწორედ ისეთს, როგორიც პირ-



თბილისის რკინიგზის მთავარ სამმართველოსთან და რკინიგზის დეპოსთან არსებული პიონერული რაზმები დეპოში. გადაღებულია 1924 წელს.

ველ პიონერთა ყელსახვევის შესაკვრელზე იყო გამოსახული.

. . .

მოხუცები ბუზღუნებდნენ, ემუქრებოდნენ და ღვთის რისხვით აშინებდნენ ბავშვებს, მაგრამ მათ უკან არ დაუხევიათ. ყველა დაესწრო ეკლესიიდან ჯვრის მოხსნას. როდესაც გუმბათზე ასულმა კომკავშირელმა ანდრო გურგენიძემ ხალხის მოტყუების სიმბოლო ქვემოთ გადმოაგდო, ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს. მცირე ხნის შემდეგ კი ეკლესიის გადაკეთებულ შენობას ახალი წარწერა მიამაგრეს — „ლენინის რაიონის პიონერთა კლუბი“.

აქ იკრიბებოდნენ საწარმოებთან შექმნილი პიონერული კოლექტივების წევრები, აქ სწავლობდნენ აირწინაღის ხმარებას, მართავდნენ კონცერტებს და აგროვებდნენ „ინტერნაციონალურ შაურებს“ კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა დასახმარებლად. აქ დაიბადა იდეა, შეეგროვებინათ თანხა თვითმფრინავის — „საქართველოს პიონერის“ ასაშენებლად...

პირველი პიონერული რაზმის წევრებს არა ერთი და ორი საინტერესო საქმე გაუკეთებიათ. დღევანდელ პიონერებს ისინი შეიძლება ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვანი გეჩვენოთ, მაგრამ პირველი ხუთწლედის დღეებში ამ საქმეებს დიდი საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა. პიონერები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს სახელმწიფო ვაჭრობას, ბოიკოტს უცხადებდნენ კერძო დუქნებს. პიონერი არავითარ შემთხვევაში არ შევიდოდა კერძო დუქანში, იგი პროდუქტებს სახელმწიფო მაღაზიაში იძენდა.

„ბოიკოტი კერძო ვაჭრებს! იყიდეთ საქონელი მხოლოდ მუშათა კოოპერატივში!“ — ასეთი ლოზუნგით აწყობდნენ პირველი პიონერები სააგიტაციო გამოსვლებს მოსახლეობაში.

„დაიცავით ჰიგიენის წესები!“ — ასეთი იყო პიონერების მიერ გამართული ერთ-ერთი დილის თემა. პირველი პიონერული რაზმის წევრები ერთმანეთს კონტროლს უწევდნენ, თუ ვინ როგორ იცავდა ჰიგიენის წესებს.

...რკინიგზის სამმართველოსთან არსებული პიონერული კოლექტივის წევრებს ძალიან უყვარდათ თავმოყრა ორთქლმავალზე, იქ, სადაც მათი ახლო მეგობრები და ხელმძღვანელები მუშაობდნენ.

დადგებოდნენ ორთქლის ქვაბის გარშემო, ავიდოდნენ საფეხურებზე, გაშლიდნენ წითელ დროშას და ასე ატარებდნენ საზეიმო ხაზს.

აქ დაბეჭდილი ფოტოსურათიც სწორედ ერთი ასეთი საზეიმო შეკრების დროს არის გადაღებული.

საუბარი ჩაიწერა გურამ გახტაძემ.

კითხვა — პასუხი

ჩვენი რედაქცია ხშირად იღებს წერილებს, რომელთა ავტორებსაც აინტერესებთ ჩვენი პლანეტის — დედამიწის აგებულება, მისი წარმოშობა, ისტორია. ამ საკითხზე ვესაუბრებათ პროფესორი ა. ბუხნიკაშვილი.

# ჩვენი დედამიწა

ამ წერილში გესაუბრებით ჩვენს დედამიწაზე, როგორც ციურ სხეულზე, მის მოყვანილობაზე, აგებულებაზე, იმ კანონზომიერებებზე, რომლებიც ბუნებას მისთვის დაუწესებია, და რომელიც განუხრელად სრულდება დედამიწის მთელი არსებობის მანძილზე.

დედამიწა, როგორც პლანეტა მიეკუთვნება მზის სისტემას, ხოლო მზის სისტემა ე. წ. გალაქტიკას, რომელიც უთვალავ ვარსკვლავებს მოიცავს. თუ მოწმენდილ ამინდში ცას შევხედავთ, ადვილად შევამჩნევთ ფართო განათებულ ზოლს, რომელიც მთელ მის ტატნობზე არის გადაჭიმული. ეს არის სწორედ ის გალაქტიკური სისტემა, რომელსაც ქართველმა ხალხმა „ირმის ნახტომი“ უწოდა. ნუ წარმოვიდგენთ, რომ თითქოს მზე ამ სისტემაში განსაკუთრებული რამ იყოს. ის არის ერთ-ერთი რიგითი ვარსკვლავი, რომლის მსგავსი გალაქტიკაში დაახლოებით მილიარდზე მეტი მოიპოვება. სამყაროში კი ასეთი გალაქტიკები უთვალავია, ასე რომ სამყარო ეს არის უკიდეგანო სივრცე, რომელსაც არ აქვს დასაწყისი და არც დასასრული.

თუკი მზე გალაქტიკაში ნამცეცისოდენაა, წარმოიდგინეთ რა სიდიდისა იქნება, სამყაროს მასშტაბებთან შედარებით, ჩვენი დედამიწა, რომლის მოცულობა მილიონ სამასიათასჯერ ნაკლებია მზის მოცულობაზე.

ამგვარად, დედამიწა ციური სხეულია, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს და ამიტომ მზის სისტემას მიეკუთვნება. ასეთ სხეულებს პლანეტებს, ქართულად კი „ცთომილებს“ ეძახიან: ასეთი პლანეტა სულ ცხრაა, რომელთაგან მზიდან ყველაზე უშორესი — პლუტონი — 1930 წელს იქნა აღმოჩენილი. ყველა პლანეტა დაახლოებით ბურთისებური ფორმისაა და ყველა ბრუნავს, როგორც მზის, ისე თავისი ღერძის გარშემო. ჩამოვთვალოთ ეს პლანეტები იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც დაცილებულნი არიან ისინი მზისაგან: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. მათ შორის ყველაზე დიდია იუპიტერი, რომლის მოცულობა დედამიწის მოცულობას 1344-ჯერ, ხოლო მასა 318-ჯერ აღემატება. ყველაზე პატარაა მერკური, რომლის მოცულობაც და მასაც დედამიწის მხოლოდ 0.055 ნაწილს შეადგენს. თავის მხრივ ზოგიერთი პლანეტების გარშემოც ბრუნავენ უფრო პატარა ციური სხეულები, რომლებსაც პლანეტების თანამგზავრებს ვეძახით. ასეთი თანამგზავრები გააჩნია დედამიწას — ერთი (მთვარე), მარსს — 2, იუპიტერს — 12, სატურნს — 9, — ურანს — 5 და ნეპტუნს — 2.

მზე, როგორც ეს ზემოთაც იყო მოხსენებული, ის ცენტრია, რომლის გარშემოც პლანეტები ბრუნავენ. პლანეტებს საკუთარი სინათლე არ გააჩნიათ და მხოლოდ მზის არეკლილი სინათლით ბრწყინავენ ცის კაბადონზე. მზე უდიდეს როლს თამაშობს პლანეტების, კერძოდ, დედამიწის არსებობაში. მზე დედამიწისათვის არის სინათლის და სითბოს წყარო, უიმისოდ დედამიწაზე ვერც იარსებებს საერთოდ სიცოცხლე და კერძოდ ადამიანი.

მზე გაზისებური, გავარვარებული, ბურთისებური სხეულია და თავისი მასით თუ სიდიდით ბევრად აღემატება პლანეტების მასას და სიდიდეებს. თუ ავიღებთ მთლიანად მზის სისტემას ყველა პლანეტებით და მათი თანამგზავრებით, ძალიან წვრილი პლანეტების (ასტეროიდების) ჩათვლით, აღმოჩნდება, რომ მზეში თავმოყრილია მთელი ამ სისტემის მასის თითქმის 99.9%. მზის მასა 332400-ჯერ აღემატება დედამიწის მასას, ხოლო დიამეტრით 109-ჯერ მეტია. მანძილი დედამიწასა და მზეს შორის წლის მანძილზე იცვლება 147 და 152 მილიონ კილომეტრების ფარგლებში და საშუალოდ 149,5 მილიონ კილომეტრს უდრის. მზე უზარმაზარ ენერგიას აგზავნის სივრცეში, რომლის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ხვდება დედამიწას, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე იარსებოს. ტემპერატურა მზის ზედაპირზე 6000 გრადუსამდე აღწევს, ხოლო მის შიგნით 20 მილიონ გრადუსამდე. თანამედროვე გაგებით მზის ენერგიის წყაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა




მზისა და მზის სისტემის პლანეტების შედარებითი სიდიდეები. ზემოთ ნაჩვენებია პლანეტები მარცხნიდან მარჯვნივ სატურნი, ნეპტუნი, მერკური, მარსი, დედამიწა, მთვარე, ვენერა, ურანი და იუპიტერი.

წარმოადგენს ის რეაქციები, რომლებიც მასში მიმდინარეობენ. ეს გახლავთ ატომის დაშლის რეაქციები.

დედამიწის ერთ-ერთი თანამგზავრი — მთვარე შედარებით პატარა ციური სხეულია, მაგრამ სხვა პლანეტების „თანამგზავრთა შორის ერთერთი ყველაზე დიდია. მისი დიამეტრი თითქმის 4-ჯერ ნაკლებია დედამიწის დიამეტრზე, ხოლო მასა 81,5-ჯერ. მანძილი დედამიწასა და მთვარეს შორის ცვალებადია 354 ათასიდან 406 კილომეტრამდე, საშუალოდ კი 384 — 395 კილომეტრს უდრის. მთვარე დედამიწის გარშემო შემოვლას 27 დღეს 7 საათს და 43 წუთს ანდომებს. ვინაიდან ეს დრო, ზუსტად იგივეა რასაც მთვარე თავის ღერძის გარშემო შემობრუნებაზე ხარჯავს, მთვარე დედამიწისაკენ ყოველთვის თავისი ზედაპირის ერთი და იმავე ნახევრით არის მოქცეული. მთვარე ზოგიერთ გავლენას ახდენს დედამიწაზე. რადგან ის ძალიან ახლოს არის დედამიწასთან, მისი მიზიდულობა დედამიწის მიმართ საკმაოდ საგრძნობია. ამ მიზიდულობის გავლენით დედამიწის ქერქის ნაწილები დღე და ღამის განმავლობაში მთვარისაკენ დაახლოებით 30-50 სანტიმეტრამდე მიიზიდებიან და შემდეგ ისევე უბრუნდებიან თავის პირვანდელ მდგომარეობას. თბილისში მაგალითად ქერქის ეს ამოწევა-ჩაწევა დაახლოებით 40 სანტიმეტრს აღწევს. მთვარე (ისევე როგორც მზე) იწვევს დედამიწის ოკეანეების და ზღვების მიმოქცევის მოვლენებს.

ამჟამად მთვარე დაწვრილებითი კვლევის ობიექტია. ადამიანმა შესძლო მთვარეზე რაკეტების გაგზავნა. მეცნიერების და ტექნიკის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი მართვადი „ლუნოხოდი", რომელიც უკვე რამდენიმე თვეა დადის მთვარის ზედაპირზე და საბჭოთა მეცნიერებს აწვდის ინფორმაციას. მისი მართვა დედამიწიდან სწარმოებს. მეცნიერების და ტექნიკის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ადამიანის ხანმოკლე ყოფნა მის ზედაპირზე, რაც ამერიკელმა მეცნიერებმა განახორციელეს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პლანეტები და, კერძოდ, დედამიწა ბურთისებური სხეულებია. ეს მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ასე ჩავთვალოთ, უფრო სწორად, დედამიწის ფორმა ე. წ. ელიპსოიდის ფორმას უახლოვდება. დედამიწა რომ ზუსტად ბურთისებური სხეული იყოს, მაშინ მისი რადიუსი ორივე სიბრტყეში: ეკვატორისა და პოლარული ღერძის გასწვრივ, ერთი და იგივე იქნებოდა. საშუალოდ დედამიწის რადიუსი 6370 კილომეტრს აღემატება. აქედან ცხადია, რომ ის უსწორმასწორობები, რომლებიც დედამიწაზე მთების და ხეობების სახით არსებობენ, მის ფორმაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ, რადგან მათი სიდიდე ამ რადიუსის სიდიდესთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელოა. თანამედროვე წარმოდგენებით დედამიწის ფორმა ოდნავ, მაგრამ მაინც განსხვავდება ელიპსოიდის ფორმისაგან. დედამიწის ზუსტ ფორმას მაშინ მივიღებთ თუ დედამიწის და ოკეანეების ზედაპირებს წარმოდგენით მისი მყარი ქერქის ქვეშაც დავინახავთ ისე, რომ ეს ზედაპირი ყოველთვის პერპენდიკულარული დარჩეს მასზე გარდნილი სხეულის მიმართულებისა. ამ წარმოდგენით ზედაპირს გეოიდს უწოდებენ და ის უკვე ზუსტად ასახავს დედამიწის ფორმას

დედამიწა წლის განმავლობაში ერთხელ შემოუვლის მზეს. მისი ორბიტაც მზის გარშემო ელიფსურია და ამ ელიფსის ერთ ერთ ფოკუსში მზე იმყოფება. ამ შემოვლას დედამიწა ანდომებს 365-ზე ცოტა მეტ დღე-ღამეს. საშუალო სიჩქარე დედამიწისა მზის გარშემო მოძრაობის დროს დაახლოებით 30 კილომეტრს უდრის წამში. როგორც ცნობილია დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო განაპირობებს წელიწადის დროთა ცვლას. ამასთან, დედამიწა წლის მანძილზე ყველაზე ახლოს (147 მილიონი კილომეტრი) მზესთან იმყოფება იანვრის დასაწყისში, მაშინ დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროში ზამთარია, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში — ზაფხული. ყველაზე შორს (152 მილიონი კილომეტრი) დედამიწა მზეს ივლისის დასა-




დედამიწის ფიზიკური ზედაპირის გეოიდის და ელიფსოიდის ურთიერთ დამოკიდებულების სქემა.

წყისში სცილდება და მაშინ ჩრდილო ნახევარსფეროში ზაფხულია, ხოლო სამხრეთში — ზამთარი. ეს ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა იმიტომ ხდება, რომ მზის გამოსხივების ინტენსიურობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რამდენიმე მილიონი კილომეტრის განსხვავებას. გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დედამიწის პოლუსების შემაერთებელი წარმოდგენითი ხაზი, რომელსაც დედამიწის ღერძს უწოდებენ (რადგან დედამიწა მის გარშემო ტრიალებს და ერთჯერ შემობრუნებას ანდომებს 23 საათსა და 56 წუთზე მეტ დროს, რაც დედამიწაზე დღე-ღამის განაწილებას განაპირობებს) ვერტიკალური არ არის და დედამიწის ორბიტის სიბრტყისადმი ადგენს 66°-ზე მეტ კუთხეს. ამიტომ მზის სხივები დედამიწის სხვადასხვა ნაწილებზე წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა კუთხით ეცემა. სწორედ ამიტომაც იმ ადგილებში, სადაც მზის სხივები ალმაცერად ეცემა, მაშინ ზამთარია, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სხივები პირდაპირ ეცემა, ზაფხული არის ხოლმე.

რატომ არ იცვლის დედამიწა თავის გზას მზის გარშემო და მილიარდი წლების მანძილზე სულ ამ გზით რატომ მოძრაობს? ამ გარემოებას მზის მიზიდულობის ძალა განაპირობებს. მზის უზარმაზარი მასა იზიდავს პლანეტებს, ხოლო ოდესღაც მათ მიერ შეძენილი გამსრბოლი ძალა განიზიდავს მათ მზისაგან. ამ ორი ძალის ურთიერთ მოქმედებით ერთხელ და სამუდამოდ დამყარებულია მათი თანაფარდობა და დედამიწაც, ისე როგორც სხვა პლანეტები, მუდამ ერთსა და იგივე გზას ინარჩუნებს მზის გარშემო შემობრუნების დროს. ამასთან, დედამიწა, მთელ მზის სისტემასთან ერთად, დიდი სიჩქარით მოძრაობს გალაქტიკაში სხვა ვარსკვლავების მიმართ.

დედამიწის ზედაპირის 510 მილიონი კვადრატული კილომეტრიდან ხმელეთს 149 მილიონი კვადრატული კილომეტრი უჭირავს, ხოლო წყალს 361 მილიონი კვ. კმ. დედამიწას არტყია ჰაერის ანუ ატმოსფეროს გარსი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს დედამიწის კლიმატის, მზის გამოსხივების რეგულირების და დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის თვალსაზრისით. მეცნიერებისათვის შედარებით ადვილია დედამიწის ზედაპირის ატმოსფეროს შესწავლა, რადგან დედამიწის ეს ნაწილები დაკვირვებისათვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომია. მაგრამ ეს ასე არ არის დედამიწის შინაგანი აგებულების მიმართ, აქ მეცნიერება ძალიან დიდ და ზოგჯერ გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება. დედამიწის სიღრმეები უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელია. ადამიანს არ შეუძლია ღრმა ჭაბურღილების გაყვანა. ყველაზე ღრმა ჭაბურღილი, რომელიც დედამიწის ზურგზე არის ჯერჯერობით გაყვანილი, შვიდკილომეტრნახევარს აღწევს, რაც დედამიწის რადიუსის დაახლოებით მეათასედია. ამ ბურღილების საშუალებით, ისიც მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ისინია გაყვანილი, ადამიანმა შესძლო დედამიწის ქერქის შემადგენელი ქანების შესწავლა აღნიშნულ სიღრმემდე. მაგრამ დანარჩენი სიღრმეები უშუალო შესწავლისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელი აღმოჩნდა. მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ არაპირდაპირი გზით, სხვადასხვა გეოფიზიკურ მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ამ არაპირდაპირი დაკვირვებებით გამორკვეულია, რომ დედამიწის ზედა მყარ ნაწილს ანუ ქერქს, მის რადიუსთან შედარებით, პატარა სისქე აქვს, ეს სისქე ცვალებადობს 15-დან 70 კილომეტრის ფარგლებში. კავკასიის და საქართველოს ტერიტორიაზე — კი ეს სისქე 30-50 კილომეტრის ფარგლებში იცვლება. ამასთან დედამიწის ქერქი უფრო სქელია მთების ქვეშ, ხოლო უფრო თხელია დაბლობების, ოკეანეებისა და ზღვების ქვეშ. დედამიწის ქერქის შემდეგ იწყება ე. წ. მანტია, რომლის სისქე 2900 კილომეტრამდე აღწევს. აქ დედამიწის ნივთიერება დიდი წნევის და მაღალი ტემპერატურის გავლენით ერთგვარ მყარ, მაგრამ დენად მდგომარეობაში იმყოფება. დედამიწის ქერქის უშუალოდ ქვეშ მდებარე ნაწილს, დაახლოებით ათასი კილომეტრი სისქისას, უწოდებენ ზედა მანტიას, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს მიწის ქერქის ფორმირებისა და მასზე ამჟამად მიმდინარე პროცესებში. მანტიის ქვეშ იწყება ე. წ. დედამიწის გული, რომლის რადიუსი 3500 კილომეტრს აღწევს. მიწის გულში, მიწის ქერქისაგან განსხვავებით, შედარებით ბევრია რკინა და სხვა მძიმე მეტალები.



დედამიწის აგებულების სქემა.

რაც შეეხება ტემპერატურის განაწილებას, შემჩნეულია, რომ სიღრმესთან ერთად ტემპერატურა იზრდება. ეს გარემოება არის ერთერთი მიზეზი იმისა, რომ ადამიანს არ ძალუძს უშუალოდ ჩავიდეს დედამიწის დიდ სიღრმეებში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მიწის გულში ტემპერატურა 2000-3000 გრადუსს აღწევს.

როგორ წარმოიშვა მზის სისტემა, ჩვენი დედამიწა, როგორი ისტორია გაიარა მან? ამ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ცალკეული ჰიპოთეზები. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გერმანელმა ფილოსოფოსმა კანტმა და ფრანგმა მათემატიკოსმა ლაპლასმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები წარმოშობილი არიან პირვანდელი გავარვარებული თხევადი ნივთიერების შემდგომი გაცივების და შეკუმშვის შედეგად. ეს ჰიპოთეზა შემდგომ განავითარა გეოლოგმა ელი-დე-ბომონმა, რომელმაც დედამიწის თანდათანობით გაცივებით ახსნა მის ზედაპირზე მთების წარმოშობა (ე. წ. დანაოჭების შედეგად). მაგრამ, მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოირკვა, რომ ეს ჰიპოთეზები დამაკმაყოფილებლად ვერ ხსნიან მთელ რიგ მოვლენებს და ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან კიდეც მათ. წარმოიშვა ახალი ჰიპოთეზები. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა საბჭოთა მეცნიერის ო. შმიდტის თეორია, რომელიც ორმოციან წლებში იქნა წამოყენებული და ამჟამადაც მუშავდება. ამ თეორიის თანახმად დედამიწა წარმოიშვა პირვანდელი ცივი მტვერისაგან და გაზისაგან, რომელთა თავმოყრის შემდეგ დედამიწაში დაიწყო გახურების პროცესი რადიაქტიური სითბოს გამოყოფის გამო. ყოველმხრივად სრულყოფილი ჰიპოთეზი, ჯერჯერობით არ არსებობს.

შედარებით უფრო ზუსტად ვიცით დედამიწის არსებობის ასაკი. ამჟამად დამუშავებულია ე. წ. აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის მეთოდები, რომლებიც ნივთიერების რადიაქტიურ დაშლას ემყარებიან და საკმაოდ ზუსტად გვაძლევენ დედამიწის შემადგენელი ქანების აბსოლუტურ ასაკს. ამ მეთოდების საშუალებით გამორკვეულია რომ დედამიწის ქერქის ასაკი 3-3 1/2 მილიარდ წელს უდრის, ხოლო საერთოდ დედამიწის შემადგენელი ნივთიერებებისა 5-6 მილიარდს. მთვარედან ჩამოტანილი ნიმუშების შემოწმებამ დაახლოებით იგივე ციფრები მოგვცა, რაც ალბათ იმას ადასტურებს, რომ დედამიწა და მთვარე ერთი პროცესის შედეგად არიან წარმოშობილი.

პროფ. ა. ბუხნიკაშვილი.

# ღობემძვრალა

ერნსტ კონრაკი                მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი.

ერთ დღეს ტყისა და ველის ყველა ფრინველი ერთად შეიკრიბა. მეფე უნდოდათ აერჩიათ. ქვეყნად თითქმის ყველას ჰყავდა თავისი მეფე: ადამიანებს, ცხოველებს, დიახ, ყველას, პატარა ჭიანჭველებსა და ფუტკრებსაც კი. ფრინველები ვისზე ნაკლებები იყვნენ?

დიდხანს იმსჯელეს და ითათბირეს, რომლისთვის ერგუნებინათ ესოდენ დიდი პატივი.

— მოდი, მეფედ ის ფრინველი დავსვათ, რომელიც ყველაზე საამურად გალობს. — ურჩია ბულბულმა.

— საკუთარ თავს ხომ არ უმიზნებ გვირგვინს? — მოსწრებულად შენიშნა ფარშავანგმა, — შეხედეთ ერთი ამ წრიპინა მაიმახს! არა, გეთაყვა, ფრინველთა მეფეს ისეთი დიდებული ბუმბულის კაბა უნდა ეცვას, რომ უცხო სამეფო კარზეც შეეძლოს გამოჩენა. ჰოდა, აბა ფრთოსანთა შორის ვისა აქვს ყველაზე მეტი უფლება იყოს მეფე, თუ არა, მე? — განაცხადა მან და მარაოსავით გაშალა ნაირფერად მოხატული ბოლო.

— ხმა გაიკმინდე, შე კუდაბზიკა ამპარტავანო! — მიაძახა კაჭკაჭმა, — აქ, ფრთასა და ბუმბულს კი არა აქვს მნიშვნელობა! მეფეს ენა უნდა უჭრიდეს, ყველაფერი უნდა იცოდეს, რაც ქვეყანაზე ხდება.

— გუ-გუ! გუ-გუ! რა ენად გაიკრიფე, შე ჭორიკანავ, შე ქურდბაცაცავ! — შეუტია გუგულმა, მე ერთადერთი ფრინველი ვარ, რომელიც საკუთარ სახელს ვიძახი. ამიტომ მეფობა მე მეკუთვნის.

— ყვა-ა-ა! ყვა-ა-ა! — დაიჩხავლა ახლა შავმა ყვავმა, — რატომ ენას არ დაიდუმებ, შე უქნარავ და ცუღლუტო! საკუთარი ბარტყების გამოჩეკაც კი გეზარება, კვერცხს სხვის ბუდეში სდებ და ახლა მეფობა მოგინდომე? ეშმაკსაც წაუღიხარ!

— ვინც ბევრ კვერცხს სდებს, პატივი და დიდებაც მას ეკუთვნის, — დაიკაკანა ქათამმა.

— ბრიყვო, გიჯობს შენს წიწილებზე იზრუნო! — დაუცაცხანა მამალმა, — ვინც ყველაზე ხმამაღლა ყივის, ის უნდა მეფობდეს. მე რომ არა, ყველას მზე დაგასწრებდათ ადგომას! — იყივლა მამალმა, ეზოს ჭიშკრის თავზე აფრინდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უფრო ხმამაღლა შემოსძახა: ყიყლიყო-ო-ო!

დიდხანს იკამათეს. შეთანხმდნენ: მეფობა იმას დარჩენოდა, ვინც ყველაზე მაღლა აფრინდებოდა.

პირველად ბეღურა წამოხტა ბუჩქიდან, სახლის სახურავამდე აფრინდა და დაღლილი იქვე ხის ტოტზე დასკუპდა. მერე ტოროლამ შეიფრთხიალა ჰაერში და წკრიალა გალობა მორთო... უყურებდნენ რა სიმაღლეზე ნავარდობდა იგი ლაჟვარდებში, ყველა ჩიტი იმას ცდილობდა, რომ მეორეზე უფრო მაღლა აფრენილიყო.

ყველაზე ბოლოს არწივი აფრინდა. მანამდე კი იგი მშვიდად იჯდა და თვალყურს ადევნებდა დანარჩენ ფრინველთა ცდასა და მონდომებას, არწივი სავსებით დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში. მთელი ღირსებით თავი შეატრიალ-შემოატრიალა, გამჭრიახი თვალები გარემოს შემოატარა და ფრთები ისე მძლავრად დაიქნია, რომ ჰაერის ტალღამ ფრინველთა გუნდს გრიგალივით გადაუარა. მან ჯერ ტყის თავზე შეკრა კამარა, შემდეგ კი ისარივით აიჭრა ცაში და თავბრუდამხვევ სიმაღლეზე დაიწყო ფრენა. ფრინველებს კისრები წაეგრძელებინათ და გაოცებული შეჰყურებდნენ. მათი აღტაცების ყიჟინა არწივის ყურამდე აღწევდა და ისიც ქედმაღლურად დაჰყურებდა ზემოდან.

უცებ არწივს რაღაც წრიპინი შემოესმა:

— ეს აღტაცების ყიჟინა შენ არ გეკუთვნის, ძმობილო! ხომ ხედავ, მე შენზე უფრო მაღლა ამოვფრინდი.

არწივმა აიხედა და, მართლაც, თავის ზურგსზემოთ მოფარფატე პაწაწინა წაბლისფერი ჩიტი დაინახა.

აი, რა მოხდა: არწივი ასაფრენად რომ ემზადებოდა, ეს პაწია ჩიტი ბოლოში შეუძვრა და დაიმალა. როდესაც ბუმბერაზმა ფრთოსანმა თვალუწვდენელ სიმაღლემდე მიაღწია, გამოძვრა და არწივზე მაღლა აფრინდა.

საასპარეზოდ შეგროვილმა ფრინველებმა ჩიტს ეშმაკობა გაუგეს და, ვინც ნამდვილად ღირსი იყო, მეფედ ის აირჩიეს.

მას შემდეგ ამ პაწაწინა ჩიტს არწივი და სხვა მტაცებელი ფრთოსნები სდევნიან. იგი იძულებულია ბუჩქებსა და ღობეების ჭუჭრუტანებში დაიმალოს. ჰოდა, სწორედ ამიტომ დაერქვა მას ღობემძვრალა.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა





# მგელი არ დაბრუნდება

გიორგი ჯინჯოლია

მოთხრობა

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

— თედო!.. ბიჭი არა ხარ?! — ფრიალა კაბით ეკლებში გახლართული წიოდა მანანა.

— რა იყო?! — მწიფე მაყვალი აუჩქარებლად გადასანსლა თედომ.

— ეკლები არ მეშვებიან!

— დაგიხსნი, ოღონდ ყურები ნუ წაიღე!

— თედო, ტურა რომ შეგხვდეს შეგეშინდება?

— მგელს ვერ ინატრებდი?! — თედომ კაბიდან ეკლები ააცალა გოგონას.

— მგლისა რომ გეშინია, ისედაც ვიცი, რაღა შენ გკითხო!

„ვთქვათ და, შემოგვეფეთა მგელი ან დათვი... დიდი, ბანჯგვლიანი, ბაჯბაჯა დათვი... მანანას როგორ ვუშველო?"

თედო დაფიქრდა.

— უკვე ყრუანტელი გივლის, ხომ? — გაუხარდა გოგონას.

— იქით კარგი მაყვლებია, — ვითომ არც არაფერი გაეგონოს, თედო ბუჩქს ამოეფარა, მანანამ შიში მართლაც არ შემატყოსო.

შერცხვა...

— სისულელეებს ლაპარაკობ... ასეთ ხმაურში, აბა, აქ დათვს რა უნდა! რკინიგზას აგებენ... აგერ ვიადუკიც კი დაამთავრეს.

— ვიადუკი რა არის?

— ხიდი, ხევზე აშენებულ ხიდს ეძახიან ვიადუკს!

— ვითომ რატომ?! „ვიადუკი" „ხიდზე" უკეთესად ჟღერს?

„ჩამაცივდება ახლა!.. აბა, მე რა ვიცი!.. ალბათ იმიტომ, რომ ერთმანეთისაგან განასხვაონ ნაგებობები. ადამიანებსაც ხომ ზოგს პეტრე ჰქვია, ზოგს — პავლე!.. ჰმ! თუმცა ეს ვერაფერი შედარებაა!".

— რას გაჩუმებულხარ? — არ ეშვებოდა მანანა.

— „ვია" ლათინურად თურმე გზაა, „დუკო" კი — მიმყავს... გასაგებია?

— რას არ შეთხზავ ხოლმე!

— კი არ ვთხზავ, ლია დეიდამ მითხრა ასე.

— სამუშაოს მწარმოებელმა?!

— ჰო! რა იყო?

— არაფერი. სხვა რა გზა მაქვს, უნდა დაგიჯერო... შენ ხომ მუდამ მშენებლებთან ტრიალებ.

გოგონამ მაღლა, ტყიან მთებს გახედა, შემდეგ ბილიკს ჩააყოლა მზერა.

რკინიგზა ერთ მთლიან რკალად შემოჰხვეოდა ფერდობს. შემდეგ თითქოს ფრთხილად, მორიდებით გადაწოლილიყო ვიადუკზე და ნაძვნარში გასული თვალიდან იკარგებოდა.

— დაწყვილებული ორთქლმავლები გამოჩნდნენ, — წამოიძახა მანანამ.

— მატყუებ?

— არ გატყუებ, მართლა გამოჩნდნენ.

— აბა, გავიქცევი.

— რატომ?!

— ისინი ალბათ ვიადუკის გამოსაცდელად მოდიან და უნდა ვნახო.

— უშენოდ არაფერი გაფუჭდეს, „ოსტატო"! — დაცინვით მიაყოლა გაქცეულს მანანამ.

თედოს ახლა მართლაც არაფერი არ გაუგონია, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მანანასკენ არც მოუხედავს.

ორთქლმავლები ხევიდან ორასიოდე მეტრზე შეჩერდნენ.

დეიდა ლია მილისებრ. სახელურს ჩაეჭიდა და მაღალსაფეხურებიან კიბეზე მსუბუქად ავიდა.

„ნამდვილად ვიადუკის გამოსაცდელად მოსულან.“ — თედო დარწმუნდა, სული მოითქვა.

ულვაშა მემანქანემ ორჯერ წყვეტილ-წყვეტილად დააჭყივლა საყვირი და სარკმელს გადაეყრდნო.

მომდევნო ორთქლმავლიდანაც ასევე გამოეხმაურნენ მას.

ლოკომოტივთა წყვილი თითქოს გაცურდაო რელსებზე.

თედომ წარმოიდგინა, როგორ მოქაჩა მემანქანემ ღონიერი, გამურული ხელით სიჩქარის მარეგულირებელი ბერკეტი, თუმცა ეს ბერკეტი არასოდეს ენახა.

ორთქლმავლებმა მალე მართლაც უმატეს სიჩქარეს.

თედოც უფრო სწრაფად გარბოდა ახლა... ბილიკიც უფრო დაბრეცილიყო თავქვეზე.

ხევის კიდიდან ბეტონსარევი მანქანა აეღოთ. აქამდე სულ ხრიალებდა და ხრიალებდა, გაუთავებლად აბრუნებდა ძირგამოხრულ ჭურის მსგავს ლითონის დოლს... გაუთავებლად ნთქავდა და ნთქავდა ღორღსა და ქვიშას, ცემენტსა და წყალს...

„რა ღორმუცელაა, რა გაუმაძღარი!“ — ამბობდა მაშინ თედო და არ სცილდებოდა მანქანას, მებეტონეებს.

— მოხვედი, თედო?

— დაგაგვიანდა!

— უკბილო ძამიკო რა უყავი?

— დღესაც „ორიანი“ მიიღე?

ყოველდღე ერთი და იგივე შეკითხვებს აგებებდნენ ქილისქუდიანი სოლომონი და ცალყურა კოტე.

„ნეტა, აღარ მობეზრდათ?!„ — უკვირდა თედოს, მაგრამ კრინტსაც არ სძრავდა, იდგა კრიჭაშეკრულივით. თავისთვის, გონებაში კი, მოგეცათ ლხენა, ენამზეობდა:

„მოვედი, ვერა ხედავთ?!“

„არაფერიც არ დამაგვიანდა!“

„პატარა ზაზას სულ თან ხომ არ ვატარებ“.

„იჰ! ორიანებს რა ხანია აღარ ვიღებ“...

ამასობაში, ლურჯკომბინეზონიანი ლია დეიდაც წამოადგებოდა თავზე.

— საყრდენის ზომები შემამოწმებინე, თედო!

ლია დეიდა რაიმეს რომ დაავალებდა, თედო მაშინვე საქმიან კაცად წარმოიდგენდა ხოლმე თავს, გაიბადრებოდა. უმალ ხვეულას სტაცებდა ხელს... ზედიზედ ზომავდნენ საყრდენის შეფიცრულ გვერდებს, შემდეგ დიაგონალების სიგრძეებსაც შეადარებდნენ ერთმანეთს.

„ზომები ზუსტია!“ — ასკვნიდა ბიჭი.

როგორც იქნა, ეშველა განაპირა საყრდენის დაბეტონებასაც. უკანასკნელად აიღეს საკონტროლო სინჯი... ერთად ჩაასხეს ბეტონი პატარა კუბისებრ ყუთში. მერე რკინის ღეროებით ჩხვლეტდნენ, ტკეპნიდნენ და ტკეპნიდნენ ყუთში ბეტონს.

— ეყოფა! — დაიძახა ბოლოს ლია დეიდამ.

ბეტონით სავსე ყუთი ლაბორატორიაში თედომ წაიღო და დიდის ამბით ჩააბარა შესამოწმებლად.

ყველაზე უფრო საინტერესო საყრდენებს შორის სივრცის გადახურვა იყო.

„რა უცნაური რამაა კონსოლური ამწე! — ფიქრობდა ახლა თედო. — პირველად რომ ვნახე, გიგანტური საქანელა მეგონა, ოღონდ ვერ ვხვდებოდი, რატომ არ ირყეოდა. მანანასა და ვიადუკის არ იყოს, მასაც გამოუცვლიდა კაცი სახელს — „მწოლიარე ამწეს“ დავარქმევდი ან კიდევ „სასწორას“... ისე კი, რა საოცრად არის გამოგონილი! დგას ლიანდაგზე მკლავებგაშლილივით... იმ სიმძიმე ტვირთს დაიკიდებს და არხეინად მიემართება ხევისკენ... არც ეშინია! მიიწევს, სანამ ლია დეიდა არ შესძახებს:

— შეჩერდით! დაუშვით!

ჭრიალებენ ჯალამბრები... სამალო ნაგებობა ბაგირებით ნელ-ნელა ეშვება.

— ასწიეთ, ასწიეთ!.. ვირა, ვირა!.. — რაღაც არ მოსწონს ლია დეიდას, ალბათ მეტი სიზუსტეა საჭირო.

ისევ გულისგამაწვრილებლად აჭრიალდებიან ჯალამბრები, ყველაზე მეტი ჯაფა ეხლა მათ ადგათ.

სამალო ნაგებობაც უფრო ქანაობს, უფრო ირწევა... ლამის ხევში ჩაიჩეხოს. ბეწვზე ჰკიდიაო, სწორედ ამაზე ითქმის.

ამწე ოდნავ დაიხევს უკან და კვლავ თავიდან იწყება ყველაფერი. კარგა ხანს არწევენ სამალო ნაგებობას, სანამ ზუსტად არ დაასკუპებენ საყრდენებზე.

თედოს ეგონა, პირველი ორთქლმავალის გავლისას აუცილებლად ლია დეიდა უნდა იდგესო ვიადუკის ქვეშ თორემ იქნებ დაიმსხვრნენო წოწოლა საყრდენები.

სხვებს, ათიოდე მშენებელს, ხევის ფსკერზე რომ იდგნენ, ისე არც ერთს არ ენდობოდა, როგორც ლია დეიდას, ისე არც ერთისა არა სჯეროდა...

ახლა, მემანქანის ჯიხურიდან, ლია დეიდა ვერაფერს ვერ დაინახავს... ისე კი, გაუძლებს თხელი საყრდენები ამხელა ურჩხულების დაწოლას? იქნებ ჩაიქცონ კიდეც!

ჰმ! თვითონ მაინც იდგეს ახლოს!

ერთმანეთზე გადაჭდობილი ბორბლები ვიადუკზე აგრიალდნენ. გამაყრუებელი რახრახი ხევმა მხოლოდ ნაწილობრივ ჩანთქა და ძლიერი ექო შეაგება ორთქლმავლებს.

მშიშარა თრითინამ გაკვირვებით დაახამხამა მძივისოდენა, ჩაშავებული თვალები და ტოტიდან ტოტზე ისკუპა. ფრთაშევერცხლილი კოდალაც დაფრთხა, ნაძვნარს იქით გადაიკარგა სადღაც.

ორთქლმავლები მალე უკანვე გამობრუნდნენ და კვლავ გადაირახრახეს ხევზე.

თედო გაჩერდა. თვალდაჭყეტილი უყურებდა ვიადუკს... საყრდენები უფრო მაღალი, უფრო აზიდული და ამაყად მდგარი ეჩვენა ბიჭს.

„კიდევ მრავალ ხევზეა ვიადუკი საჭირო?“

საიდანღაც მაყვალი დაეცა თავზე. შემოტრიალდა. მანანა წამოსწეოდა.

— ქვეყნად ბევრი გზა და ხევია... გზები არც დასრულდებიან! გული ნუ გწყდება, „ოსტატო“!..

„ჰო, რა კვიმატი ხარ!“ — თედომ უკან დაიხია, გოგონას გვერდით ამოუდგა.

ერთხელ კიდევ ერთად გახედეს ვიადუკის საყრდენებს.





# ნიუტონის ვაშლის ამბავი

უკრაინელი მწერლის იური იაჩეიკინის ფანტასტიკურ-იუმორისტულ წიგნს „კაპიტან მართალას საოცარი თავგადასავალი" 1966 წელს ბულგარეთში გამართულ ევროპის, აზიისა და ამერიკის იუმორისტ მწერალთა საერთაშორისო კონკურსზე მეორე პრემია მიენიჭა.

კოსმოსური სივრცეების დალაშქვრით გულნაჯერები კაპიტანი მართალა შავი ზღვის პირას, მიუვალ მთებში დასახლებულა და თავისი საოცარი თავგადასავლების მოგონებით ცოცხლობს.

ვბეჭდავთ ამ წიგნის ერთ-ერთ თავს.

ახლაც ტკბილად ვიგონებ კაპიტან მართალასთან გატარებულ დღეებს. შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ მასთან სტუმრობის არც ერთ საათს უქმად არ ჩაუვლია.

არ მახსოვს, ჩვენი მყურდოება რაიმეს დაერღვიოს; კაპიტანს ისეთ ადგილას დაედო ბინა, სადაც მარტო მზე, ნიავი და სიმშვიდე მეფობდა.

ვარსკვლავეთის ლომს საცხოვრებლად ზღვის სანაპიროზე მაღალი მთებით შემოზღუდული მომცრო ყურე აერჩია; აქ, ხეხილის ბაღში, მისი სახლი იდგა; უსურვაზით დაბურული ფართო აივანი ზღვას გადაჰყურებდა. დროდადრო, ბაღის სიღრმიდან, ნიავით დარწეულ კენწეროებს შორის, მისი დაბებკილი რაკეტის წვერი მოჩანდა...

ხმელეთიდან ეს ადგილი მიუვალი იყო. სამანქანო გზისას აღარაფერს გეტყვით, ბილიკიც კი — თუნდაც საცალფეხო — არ უდგებოდა მის საბრძანებელს. მთის ახლომახლო სოფლებიდან მხოლოდ ყველაზე თავგამეტებული ვაჟკაცები თუ ბედავდნენ მართალასთან ასვლას; კაპიტანს რომ მისი საქვეყნო დიდების საკადრისი ანტინივთიერება* არასოდეს შემოკლებოდა, მხარზე რუმბმოგდებული მთიელები გმირულად შეუყვებოდნენ ხოლმე უვალ კბოდეებსა და ქარაფებს; საღამოობით მართალას სამფლობელოსთან ნაცნობი მეთევზეები აყენებდნენ ნავებს და სტუმართმოყვარე მასპინძლისას სწორედ ამ ღვთიურ სასმელს აჭაშნიკებდნენ.

მართალია, დღე ისე არ გავიდოდა, კოსმოსურ მოგზაურობათა მუზეუმის ენაჭარტალა თანამშრომელს შვეულმფრენით რომ არ შემოევლო და კაპიტანს კოსმოსური სამახსოვროების თაობაზე არ დაღრეჯოდა, მაგრამ მის მოსვლას ხომ სტუმრობა არ ეთქმოდა: მასპინძლის მიერ მეგობრული პატივისცემით მიწვდილი ეს მიწიური რელიკვია, ანტინივთიერება, ამ კაცს რატომღაც სულ არ ეპიტნავებოდა. სამაგიეროდ, სიამოვნებით სვლეპდა თხის რძისგან შედედებულ მაწონს. ის საბრალო, კაპიტანს ალბათ ამიტომაც არ ეხატებოდა გულზე...

თუმცა, თავს აღარ შეგაწყენთ ყოველდღიური წვრილმანების თხრობით და კაპიტნის იმ თავგადასავალს გიამბობთ, რომელსაც ისტორიაში ბადალი არ მოეძევება. მე სრულიად შემთხვევით შევიტყვე ეს ამბავი.

მართალას ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა: შეძვრებოდა თავის მანქანაში დღისით, მზისით, მოიკალათებდა ძველი, დაჟეჟილი ვედროსაგან გაკეთებულ ცივ ღუმელთან და ჩიბუხს გააწყობდა. წუთიც და, ილუმინატორიდან გამოჩრილი თუნუქის საკვამური ბოლქვებად დაიწყებდა ცისკენ კვამლის ლეგა ღრუბლების ცემას. მოდი და ნუ გაგიკვირდება! — ვარსკვლავეთის კაპიტანთაგან ყველაზე უგულადესი კაცი, ნამალავად, ღუმელთან მიმჯდარი ეწეოდა თუთუნს იმ მოწაფის დარად, პირველად რომ ასწაპნა მამას სიგარეტი და მერე სხვენზე გულდამშვიდებით გააბოლა.

ერთ მშვენიერ დღეს კაპიტან მართალას სახლის აივანზე ვზივარ და პირს სურნელოვანი კოსმონავტური პასტით ვიტკბარუნებ. უცებ, ვხედავ, მანქანიდან კვამლი ამოვარდა. აჰაა, ისევ ნამალავად გააჩაღა ჩიბუხი. ახლა კი გამოვიცნობ ამ გამოცანას-მეთქი გავიფიქრე. ეზოში ჩავედი, რაკეტას ფეხაკრეფით მივეპარე და შიგ ფრთხილად შევიჭვრიტე.

არც შევმცდარვარ: კაპიტანი, ჩვეულებისამებრ, ცივ ღუმელთან მიყუჟულა და ჩიბუხს აბოლებს. მუხლზე საშუალო სკოლის ფიზიკის წიგნი გაუშლია და იმ თავს ჩაჰკირკიტებს, მსოფლიო მიზიდულობის კანონს რომ ეძღვნება; წიგნის ფურცლიდან ამ კანონის აღმომჩენი, გენიალური ინგლისელი მეცნიერი ისააკ ნიუტონი შემომყურებს.

— ეს კაცი რომ არ ყოფილიყო, — შევბედე დიდი კრძალვითა და რიდით, — ეგებ ვერასოდეს გაგეკაფათ ვარსკვლავეთის გზები, კაპიტანო; მაშინ ალბათ ასე მალულად ვეღარ გააბოლებდით ჩიბუხს ამ ძველ მანქანაში, შინნახელავ ღუმელთან...

— სული ნუ გისწრებთ, ყმაწვილო, — მშვიდად გამაწყვეტინა კაპიტანმა. — თავის დროზე კიდევ წამიც რომ დამგვიანებოდა, მსოფლიოს მიზიდულობის კანონს ალბათ სხვა აღმოაჩენდა...

სახტად დავრჩი, კაპიტანს კი ღიმილი მოერია. წიგნი დახურა და ღუმელზე დადო. მერე ჩიბუხი აუჩქარებლად გამობერტყა და კვლავ თამბაქოთი გატენა.

* ანტინივთიერება — ასე უწოდეს იმ ნივთიერებას, რომელიც, ზოგიერთი თანამედროვე ფიზიკოსის აზრით, ანტიატომებისაგან უნდა შედგებოდეს. ეს მეცნიერები ფიქრობენ, ანტინივთიერების ატომგული პროტონებსა და ნეიტრონებს კი არა, ანტიპროტონებსა და ანტინეიტრონებს შეიცავს, ელექტრული გარსების ნაცვლად კი — პოზიტრონულ გარსებსო.

— დიახ, — წარმოთქვა მან, — კიდევ წამიც და, ამ წიგნში ნიუტონის კი არა, სხვის სურათს დაბეჭდავდნენ.

კაპიტანმა ასანთი თავის „მუდმივმფეთქავ ვულკანთან“ მიიტანა, თამბაქოს კვამლის სქელ ღრუბლებში გაეხვია და თავგადასავალთა გუდას პირი მოხსნა:

— ყველაფერი აზიმუტის გამოისობით მოხდა. მის ქებას აღარ მოვყვები; მოგეხსენებათ რა ვაჟკაციც იყო. შტურმანს ხომ უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი. მაგრამ ერთი უხიაგი ზნე სჭირდა — უფროსებისათვის ჭკუის სწავლება და მათთან კამათი უყვარდა: წამოიწყებდა პაექრობას და საშველს აღარ დააყენებდა ხოლმე; სხვა არაფერი ახსოვდა, არც ჭამა, არც სმა, არც ძილი... ერთხელ, ერთი მკვლევარი დისერტაციას იცავდა საკმაოდ გაცვეთილ თემაზე — „იყო თუ არა სიცოცხლე მარსზე?“ ჩემი შტურმანი ოპონენტი გახლდათ და კამათით ისე გაასავათა სამეცნიერო საბჭოს წევრები, რომ კანდიდატის ხარისხი იმ საწყალ მკვლევარს კი არა, აზიმუტს მიანიჭეს, ეგებ მოგვეშვასო... ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩემი შტურმანი დისერტაციის დაცვაზე აღარ მიუწვევიათ; მგონი ეშინოდათ კიდეც, აზიმუტმა ერთ თვეში აკადემიკოსობა არ გაირტყასო. ჰოდა, აზიმუტის ამბავი რომ ვიცოდი, ყოველთვის ვერიდებოდი მასთან სამეცნიერო თემაზე სიტყვის ჩამოგდებას.

მაგრამ ერთხელ, რაღაც ეშმაკად, აზიმუტთან ნიუტონი და მისი ვაშლი ვახსენე.

აზიმუტი, თითქოს ამას ელოდაო, მომიბრუნდა, თვალი თვალში გამიყარა და მომახალა:

— რა ვაშლი, რის ვაშლი, ასეთი ვაშლი არ ყოფილა!

— არ ყოფილაო? — პირი დავაღე. — იმ ვაშლმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა და არ ყოფილა? — სიტყვის ოსტატებმა მხატვრულად აღწერეს, კალენდარშიც კია აღნიშნული.

— ლიტერატურული ანეკდოტია! — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა აზიმუტმა.

რაც მართალია, მართალია, გავგულისდი:

— მსოფლიო მიზიდულობის კანონიც ანეკდოტია?! — ვიყვირე, — უვაშლოდ კი, დაგიხატავდნენ ამ კანონს!

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ნიუტონის ვაშლი ჩვენთვის მართლაც განხეთქილების ვაშლად იქცა. ხილის დამზადების მუშაკებივით მთელი დღე ვაშლზე ვყაყანებდით.

მე ვასკდებოდი გულს, თორემ აზიმუტს რა უჭირდა. ბავშვობიდანვე იწრთობდა ყელს, კამათი და დისკუსიები ახალი ხილი არ გახლდათ მისთვის. თითქოს ჩემს ჯიბრზე, ძილშიაც კი აბოდებდა: წითელი ვაშლი გაგორდა, შენ თუ მეო!

რაღა ბევრი გავაგრძელო, აზიმუტი თავისას არ იშლიდა, მე — ჩემსას. ბოლოს, როგორც იქნა, მის ოხნობას წყალი შევუყენე. მახსოვს, ჩემმა შტურმანმა მთელი ღამე სულმოუთქმელად იქაქანა, გამთენიისას კი თვალები საცრისოდენა გაუხდა, დარეტიანდა და არაქათგამოცლილი საწოლს დაენარცხა. იცოცხლე, მალევე დავუფრთხე ძილის ანგელოზები! სისხამზე თავს დავადექი და შევანჯღრიე:

— იყო ნიუტონის ვაშლი! იყო! ინგლისის კლიმატი სწორედ ვაშლისთვისაა მისწრება.

აზიმუტს თავისი მაინც არ გადაუთქვამს.

— ინგლისის კლიმატი ვაშლისთვის შეიძლება მართლაც შესაფერი იყოს, მაგრამ ნიუტონის ვაშლის არსებობას მაშინ დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ მენახა, — წაიბურტყუნა და გვერდი იცვალა.

— შენი თვალით? — გამიხარდა, — კი, ბატონო, ეგ საქმე არც ახლაა გვიან.

ამის თქმა და აზიმუტის ფეხზე წამოხტომა ერთი იყო; კარგახანს გაოგნებული მიყურებდა...

ისეთი კი არაფერი მითქვამს.

გაიხსენეთ, რის მეშვეობით აღვიქვამთ ირგვლივ განლაგებულ საგნებსა და სურათებს? ცხადია, ამ საგნებიდან არეკლილი სხივებით. ყველა სურათი თუ გამოსახულება ხომ ჩვენი თვალის ჩინამდე მოღწეული ათასგვარი ტონალობის სხივების ერთიანობაა. ახლა ისიც მოიგონეთ, სად მიისწრაფვის საგნიდან არეკლილი სხივი? რა თქმა უნდა, სივრცეში. ჰოდა, თუ გინდა, რომელიმე გარდასული სანახაობა ან სურათი იხილო, გამოუდექი მათგან ოდესღაც არეკლილ სხივებს, სადღაც შორს, სივრცეში რომ მიქრის, დაეწიე და მერე... თუ გინდა, სურათიც გადაუღე.

აზიმუტს ჩანაფიქრი გავაცანი. საკამათოც აღარაფერი გვქონდა, მარტო გამოთვლაღა იყო საჭირო. ამ საქმეში კი, მოგეხსენებათ, ჩემს შტურმანს ბადალი არ ჰყავდა.

— აჰა შენ დავალება, — ვუთხარი, — გამოთვალე იმ ადგილის კოორდინატები, სადაც ზუსტად სამი დღის შემდეგ ნიუტონისა და მისი ვაშლიდან არეკლილი სხივები გაიქროლებენ.

აზიმუტი მაშინვე მაგიდას მიუჯდა. ასეა, როცა კაცი მიჩვეულია წესრიგს! ის კი მიუჯდა, მაგრამ ახლა ჩემი ამბავი იკითხეთ! მე ხომ ბევრად უფრო ძნელ ამოცანას უნდა შევჭიდებოდი. კოორდინატების გამოთვლა მართლაც დიდი საქმეა, მაგრამ მანქანა ვის უნდა წაეყვანა? რა თქმა უნდა, — მე. ჰოდა, ვფიქრობ, კაცო, რა ვქნა, რა ეშმაკით დავეწიო რამდენიმე საუკუნის წინ სივრცეში არეკლილ სხივს-მეთქი. მაშინ ხომ ჩემს მანქანას ის ძრავა არა ჰქონდა, რომლითაც დღევანდელი რაკეტები სინათლის სხივს უსწრებენ? სხვა რა გზა იყო. საგანგებო ქვემეხით უნდა მესარგებლა. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ამ ქვემეხით გატყორცნილი რაკეტა სინათლის სხივის სისწრაფეს აჭარბებს. მაგრამ ვისთვის მეთხოვა, ვინ მომაშავებდა ასეთ ქვემეხს. როცა საქმის მიზეზი კერძო კამათი იყო და სხვა არაფერი? რით დამესაბუთებინა ჩემი მოთხოვნა?



და გამახსენდა, რომ ერთი ასეთი ადამისდროინდელი ქვემეხი კოსმოსურ მოგზაურობათა მუზეუმში ინახებოდა. მართალია, ეს მარტივი მოწყობილობა თანამედროვე ვარსკვლავმფრენს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ზონამდეც ვერ გატყორცნის, მაგრამ მისი სიმძლავრე საკმარისი იყო, რომ ჩემი პატარა მანქანა თუნდაც სამყაროს კიდემდე გადაეკარგა. მართალი გითხრათ, ასეთი მოგზაურობის ტრფიალი არასოდეს ვყო-

ფილვარ — კაცი ვერც ვერაფერს ხედავ და ვერც ვერაფერს განიცდი... თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებ და უკვე ადგილზე ხარ; ერთი სიტყვით, ვარსკვლავეთში მოგზაურობის რომანტიკაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ, მეტი რა ჩარა იყო.

სწორედ მაშინ, სიცოცხლეში პირველად და ალბათ უკანასკნელად, დავთანხმდი ჩემთვის ძალზე ზარალიან გარიგებას: მოგეხსენებათ, კოსმოსურ მოგზაურობათა მუზეუმს ყოველთვის ეჭირა თვალი ჩემს კოლექციაზე. მით უმეტეს მაშინ, როცა ცნობილი რობოტუნა ონავარას მეტი ხეირიანი თითქმის არაფერი გააჩნდათ. სიტყვამ მოიტანა და, ეს რობოტუნაც შემთხვევით ჩაუვარდათ ხელთ — წრესგადასული ოინბაზობისთვის კაპიტანმა კოზირმა იგი ხომალდიდან გამოაძევა, მაგრამ მთლად რომ არ წასულიყო ხელიდან, ადგა და მუზეუმის მეცნიერ მუშაკებს მიაბარა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ეს ჯაბახანა ქვემეხი ზღაპრული ნივთების ფასი დამიჯდა, მის სანაცვლოდ საარაკო საგნებს შეველიე — ჯადოსნურ სუფრასა და მფრინავ ხალიჩას. რა გასაკვირია, რომ ამ განძის ხელში ჩაგდებისთანავე მუზეუმის სასადილო დალუქეს, მნახველებს კი მუზეუმის შემოგარენში განლაგებულ ექსპონატებს ციდან ათვალიერებინებდნენ. ასეთი საუნჯისათვის, ჩემდა თავად, იმნაირ ქვემეხს ათსაც არ დავიშურებდი.

ამ მორიგებაში სამი დღეც გავიდა და გადმომცეს თუ არა ქვემეხი, სამზადისს შევუდექი — იმდენი თბოგამძლე მავთული ჩავტვირთე ჩემს მანქანაში, თითქოს სპორტული კი არა, საბარგო რაკეტა ყოფილიყო. ბოლოს, ქვემეხი ჩემი პატარა ხომალდით დავტენე.

აზიმუტმაც არ მიმტყუნა: ნიუტონისა და მისი ვაშლიდან არეკლილი სხივების კოორდინატები მესამე დღისათვის უკვე გამოთვლილი ჰქონდა. ქვემეხი ვარსკვლავეთის საჭირო კვადრატზე დავაპროგრამეთ და დასახული წერტილისაკენ ცოტა ადრეც გავიჭერით — ვინ იცის, გზაში რა ველის-მეთქი, არ გვაწყენდა დროის მარქაფი. წამის წინ მშობლიურ, თბილ მიწაზე ვიყავით, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, რომ კოსმოსური თოში უკვე კბილს კბილზე გვარაკუნებინებდა. ტემპერატურის ასეთი უეცარი ცვლილებისაგან კინაღამ გული შეგვიღონდა.

სხივებს მივასწარით, მაგრამ ჯერ ვერაფერსაც ვერ ვხედავდით. არცაა გასაკვირი — კოსმოსში ქროლვისას სხივების ერთიანობა ათობით კვადრატულ სინათლის თვეზე გაშლილიყო. იგი ჩვენს ირგვლივ, რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრზე უნდა შემოგვეკრიბა. ასე რომ, საქმე თავსაყრელად გვქონდა.

სწორედ ახლა გვჭირდებოდა თბოგამძლე მავთული. მისი ერთი ბოლო ახლად წარმოქმნილი ვარსკვლავის მდუღარე ლავაში ჩავუშვით, მეორე კი ყინვისაგან გათოშილ, კარგა ხნის ჩამქრალ ჯუჯა ვარსკვლავს მივამაგრეთ. ტემპერატურათა სხვაობამ ისეთი ძალოვანი ველი შექმნა რაკეტის გარშემო, რომ ახლომახლო მდებარე მნათობები წამსვე ჩვენს ირგვლივ დატრიალდა. სხივებმა კი ისე უხვად იწყეს დენა, გეგონებოდათ, მაგნიტით მოუზიდავთო. დიდებული სანახაობა იყო, ნამდვილი სადღესასწაულო კარუსელი!

მაგრამ, გულახდილად გეტყვით — თავდაპირველად ხელი მოგვეცარა, რისი ნიუტონი, რისი ვაშლი! მისაჭართი შეგვეშალა და ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, სულ თავბედი ვიწყევლეთ. კი, ბატონო, წიგნებში ყველაფერი კეთილად ბოლოვდება, სინამდვილეში კი, ეეჰ, რამდენ დავიდარაბას უნდა გაუძლოს კაცმა!

გახურებულ საზღვაო შეტაკებაში შევიჭერით — სავაჭრო გემს მეკობრეები დასცემოდნენ! ავისმომასწავებლად ფრიალებდა მეკობრეთა შავი ალამი, თავის ქალა და ერთმანეთზე გადაჭდობილი ძვლები რომ ეხატა. ლაპლაპებდნენ ხმლები და დაშნები, ელავდნენ აფთები* და სააბორდაჟო** ცულები, გრიალებდნენ მუშკეტები და დამბაჩები, წიოდა ტყვიები, ანძიდან ანძაზე დახტოდნენ სისხლისმსმელი მეკობრეები... .

ჰოდა, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. ერთგან კი, იმ ჯოჯოხეთის შუაგულში, თუთიყუში წამოსკუპებულიყო და ცეცხლზე ნავთს ასხამდა — თავზეხელაღებული ყაჩაღები უფრო მეტად რომ წაექეზებინა, მჩხავანა ხმით გაჰკიოდა:

— ოქ-რო! ვერ-ცხლი!.. ოქ-რო, ვერ-ცხლი!..

ერთი გენახათ, თვითონ მეკობრეები რას ჰგვანდნენ! ცალ თვალზე ყველას შავი ბანდი ეკრა. ყურებზე ვეება, ახალ მთვარესავით მორკალული საყურეები უბრჭყვინავდათ, წვერი გაჯაგროდათ და სიფათები ზღარბს მიუგავდათ, კბილებში ალესილი ბებუთები გაეჩარათ, ხოლო დაბანჯგვლული ტორებით მრავალლულიანი დამბაჩები ჩაებღუჯათ.

კრივში რომ არ ყოფილიყო გაწვრთნილი, აზიმუტს ალბათ შავი დღე დაადგებოდა. ცარიელ-ტარიელი აღმოჩნდა ბრძოლის ეპიცენტრში და ისღა დარჩენოდა, გამეტებით მოქნეული მუშტები ოსტატურად აეცდინა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და ერთი წელამდე შიშველი ოყრაყი უძლიერესი ჰუკით*** დაანარცხა ძირს. მე შემდეგ საკადრისად შევახურე ჩემი შტურმანი ისტორიაში ასეთი უხეში ჩარევისათვის.

ბრძოლა თანდათან დაცხრა.

---

* აფთი — ერთგვარი ბრტყელი, გრძელტარიანი მახვილი.

** აბორდაჟი აფრიანი და ნიჩბიანი გემების ხანაში საზღვაო ბრძოლის ხერხთაგანი იყო: ორი ხომალდი გვერდიგვერდ წადგებოდა და კავებით გადაებმებოდა ხელჩართული ბრძოლისათვის.

*** ჰუკი — კრივის ილეთი.








ახალგამომცხვარი მეკობრეები ძველებს გადაეხვივნენ, დაუძმაკაცდნენ და ერთად შეესივნენ სავაჭრო გემის ტრიუმებს. ტრიუმებში კი, სულო და გულო, რაღა არ იყო! — ზოგი ოქროთი გაძეძგილ კასრს მოაგორებდა, ზოგს რომით სავსე რუმბი ამოეღლიავებინა, სხვებს კისერზე მარგალიტის მძივები და ბანანების გალა ჩამოეცვა. დანარჩენებს შეშასავით გაედოთ მხრებზე თოფები და მუშკეტები.

ბოლოს, როცა გაძარცვულ გემს ლურსმანიც აღარ შეატოვეს (ლურსმანი მაშინ კარგა გვარიანად ფასობდა), ქვემეხის ზალპები დააყარეს და ცხვირი ფსკერისაკენ უქნეს.

ახლა საქმე ნადავლის გაყოფასა და ღრეობაზე მიდგა, — გამარჯვება ხომ უნდა აღენიშნათ! რაღა დავმალო და, ასეთი პირწავარდნილი ლოთები ჩემ დღეში არ მენახა! რაც იმათ რომი სვეს?! — ერთ ზღვად იკმარებდა! მაგრამ ალკოჰოლმა თავისი ქნა, — მეკობრეებს კისერი მოედრიცათ და ბოლოს ყველას, ვინც სად იჯდა, იქვე ჩაეძინა. ერთმა ზღვაში ჩიბუხის გადაპერტყვაც ვეღარ მოახერხა — ნამწვი გემბანზე დაცვივდა, ნაპერწკალი ნაპერწკალს მიემატა და, გიყვარდეს, იფეთქა ცეცხლმა! პირველად კაპიტანს აეწვა ქუსლები. წამოხტა და ხანძარს გულდაგულ ეცვეთა, მაგრამ სპირტით ისე იყო გაჟღენთილი და ფაშვგაპიპინებული, რომ მაშინვე გასკდა. დეტონაციისაგან** დენთის საკანიც აფეთქდა და მეკობრეთა ხომალდი ნაფოტებად იქცა.

ყველანი ზღვამ ჩანთქა. მხოლოდ ორად ორმა კაცმა მოახერხა და რომის ცარიელ კასრს ჩაებღაუჭა. ერთი მათგანი თავისას კიდევ არ იშლიდა და სინანულით თავს აქნევდა:

— ეჰ, ერთი ეს კასრი სავსე მოგვცა!..

მეტად დამაფიქრებელი და ჭკუის სასწავლი სანახაობა იყო, მაგრამ დრო არ ითმენდა, იგი უნდა გამოგვერთო და საქმეს ვწეოდით. მოგეცათ ლხენა, მალე აზიმუტს ავუსრულე დანაპირები;

გამოვრთეთ თუ არა ეს სანახაობა, განუმეორებელი წუთის მხილველნი გავხდით: დიდი ინგლისელი მეცნიერი ვაშლის ბაღში სეირნობდა და შთაგონებული, სწორედ ისე, გენიოსს რომ შეშვენის, რაღაცაზე ოცნებობდა.

უცებ ხიდან ვაშლი ჩამოვარდა.

ისააკ ნიუტონი შეჩერდა, ერთხანს ვაშლს დასცქეროდა, მერე აიღო...

დღესაც თვალწინ მიდგას დიდი სწავლული! — მარჯვენა ხელისგული მარცხენა იდაყვისთვის შეეშველებია და სახესთან მიტანილ ვაშლს ჭკვიანური თვალებით უმზერს:

— საინტერესოა, რად ვარდება ვაშლი დაბლა და არა მაღლა?

გულმა აღარ მომითმინა... კარნახი რომ დასაგმობია ეს აქსიომა სკოლის მერხიდანვე ვიცი, მაგრამ კაცობრიობის ინტერესები ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეთიკური ნორმები.

— იმიტომ, რომ არსებობს მსოფლიო მიზიდულობის კანონი! — ვუკარნახე აღელვებულმა.

სწავლულმა ყური სცქვიტა. ვაშლს თვალი მოსწყვიტა და გზნებით შემომხედა. უნდოდა, რაღაც ეთქვა, იქნებ მადლობაც — კარნახისათვის, მაგრამ სწორედ ამ დროს სამწუხარო რამ მოხდა: მავთული სადღაც გაწყდა, ძალოვანი ველი გაქრა და ჩვენს გარშემო ასეთი გარჯით მოზიდულმა ისტორიულმა სივრცემ რღვევა იწყო.

იმწამსვე სამართავ პულტს ვეცი და სანახაობას ადევნებული ხომალდით წინ გავიჭერი. მინდოდა ისააკ ნიუტონს დავწეოდი, მისი პასუხი გამეგონა, მაგრამ სხვითა იმ ქაოსში უკვე ყველაფერი ამაო იყო; ბაღის ნაცვლად, სადაც წუთის წინ სახელგანთქმული ფიზიკოსი დასეირნობდა, თავი შუა საუკუნეების ლონდონურ ბაზარში ვდურთეთ. მართალია, ბაზარს წამის მეათასედში ჩავუქროლეთ, მაგრამ მაინც მოვასწარით და შევნიშნეთ, რომ ხიდან ვაშლის ჩამოვარდნისა და მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენის შემდეგ ამ ხილის ფასმა ერთიათად აიწია.

ჰოდა, ვინ იცის, ნიუტონი აღმოაჩენდა მსოფლიო მიზიდულობის კანონს, რომ შევჭოჭმანებულიყავ და დროულად არ მეკარნახა?

კაპიტანი მართალა დადუმდა, პასუხს დაელოდა.

მისი საოცარი თავგადასავლით გახევებულმა ისღა მოვახერხე, რომ კითხვა ბანზე ავუგდე და უადგილოდ წავიბურტყუნე:

— კი მაგრამ, ნიუტონი რა შუაშია, ასე ნამალევად რომ ეწევით?! ისიც ცივ ღუმელთან?!

კაპიტანმა მართალამ დიდსულოვნად გაიღიმა:

— ნუ გავიწყდებათ, ყმაწვილო, რომ რაკეტაში ჩემს გარდა აზიმუტიც იყო. ჩიბუხს ამოვიღებდი თუ არა, ჩემი ერთგული შტურმანი მაშინვე გადმომკრავდა: „ჰო, მიდი, მიდი, მეკობრეებიც ასე ექაჩებოდნენ და...“ აზიმუტი რომ არ გამეღიზიანებინა, ავდექი და ვედროსაგან ეს ღუმელი მოვახლაფორთე; შემდეგ ასე მალულად, ღუმელთან მიმჯდარი ვაბოლებდი ხოლმე. სანამ მშობლიურ პლანეტაზე დავბრუნდებოდით, წლები გავიდა; ამასობაში რას აღარ მიეჩვევი! ჩემი ხნის კაცისთვის კი, მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

უკრაინულიდან თარგმნა
ამირან ასანიძემ.



** დეტონაცია — ფეთქებადი ნივთიერების აფეთქება, როცა იგი გამოწვეულია სხვა ნივთიერების აფეთქებით, ან დარტყმით.










ნ. კოსტინი

## ახალი მოგონებანი ლენინზე

ამ პატარა კრებულში თავმოყრილია იმ ადამიანების ძვირფასი მოგონებები, რომლებიც პირადად იცნობდნენ ბელადს და მასთან სამსახურებრივ ურთიერთობაში იყვნენ. ესენი არიან: ლენინის შოფერი პ. ს. კოსმაჩევი, კრემლის კომუტატორის ტელეფონისტები: ლ. დ. კოსმაჩევა, ე. ნ. აბრამოვა, ულიანოვების ოჯახის მოსამსახურე ა. მ. სისოევა და სხვანი. მათი ნაამბობი ლენინის ცხოვრების ახალი ფაქტებია, რომლებიც კიდევ უფრო ამაღლებს ბელადს ჩვენს თვალში და ნათელს ჰფენს მის უზომოდ კეთილშობილურ პიროვნებას.

წიგნი თარგმნა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა როდიონ ქორქიამ.

ლადო მრელაშვილი

## თავგადასავალი სამი ლამისა

— „შენ დამხატე?

— მე დაგხატე.

ზაქრომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიაბჯინა მკერდზე ხალათის ღილქვევით.

— შენ დამხატე?

— მე დაგხატე.

ზაქრო წელში გასწორდა და ისე შეხედა მეგობარს.

— შენ დამხატე?

— ჰო, მე დაგხატე.

მეგობრებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

ზაქრომ სოლომონის ნაავადმყოფარ სახეზე და ცოცხალ თვალებში ამოიკითხა უზომო სიყვარული და მეგობრობა მისდამი. ათრთოლებული ხელი მოუთათუნა მხატვარს გამხდარ ბეჭებზე და ღიმილით, რომელშიც სინაზე და სიყვარული იყო ჩაქსოვილი, წაილაპარაკა:

— საკვირველია, როგორ დამამსგავსე?..“

მოთხრობის დასასრულის ამ დიალოგს ისეთი კილო აქვს, რომ მკითხ-




### მოდი და ნუ გაიღვიძებ!

იტალიაში დაიწყეს ისეთი მაღვიძარა საათის გამოშვება, რომელიც თვით ყველაზე ძილისგუდასაც კი წამოაგდებს ლოგინიდან. დანიშნულ დროს საათი რეკვას იწყებს,



შემდეგ ავტომობილის ხმაზე ღმუის, რ-საც კარაბინის სროლის ხმა და ხელყუმბარის აფეთქებისებური გრუხუნი მოსდევს. მოდი და ყოველივე ამის მერე ნუ გაიღვიძებ!

### ადამიანების მსგავსად

ქალაქ ატლანტის მაიმუნების საცდელი ინსტიტუტის დირექტორი ჯეფრი ბერნი ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაიმუნები ცხოველი ინტერესით უყურებენ ტელეგადაცემებს.



ზოგი მათგანი ტაშსაც კი უკრავდა, როცა რაიმე განსაკუთრებულად მოეწონებოდა. შიმპანზე და ორანგუტანგი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს სპორტულ შეჯიბრებებს, უფრო მეტად კი — კრივს. გორილები დიდი სიამოვნებით უცქერდნენ დეტექტურ სატელევიზიო ფილმებს და მუსიკალურ რევიუს.

### ცხვრის სამოსელი

ავსტრალიაში ყოველწლიურად მილიონამდე ცხვარი იხოცება სიცივისაგან, პარსვის შემდეგ. ავსტრალიელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ისეთი საშუალება, რომელიც



10-ჯერ შეამცირებს ცხვრის სიკვდილიანობას. მათი რჩევით, გაპარსვისთანავე ცხვარს აცმევენ თხელი სინთეთიკური ქსოვილისაგან შეკერილ სამოსს. რამდენიმე კვირის მერე ეს სამოსი ცვდება და თავისით ეხდება ცხვარს. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იგი მატყლივით ათბუნებს ცხვრის სხეულს და ისეთსავე ეფექტს იძლევა, როგორც, ვთქვათ, ჰაერის ტემპერატურამ რომ 10 გრადუსით აიწიოს.

### ცხრაფეხა ბაყაყი

ტოკიოს მახლობლად, ერთ-ერთ ნაკადულში დაიჭირეს ბაყაყი, რომელსაც ხუთი ფეხი ჰქონდა. მეხუთე ფეხი მოთავსებულია

ველი იფიქრებს, ეგ არის და ზაქრო ეცემა სოლომონსაო, მაგრამ მეგობრობა სწორედ ის არის, რომ იგრძნო მეგობრის გულის ნადები, თვალებში ამოიკითხო მისი ფიქრი და კეთილი საწადელი... მაგრამ თავისთავად მეგობარი თან ხომ არ ჰყვება ადამიანს, ის მას სიცოცხლის მანძილზე იძენს, და იძენს ის, ვინც თავადაც არის გულწრფელი, გამტანი და საერთოდ სულით მდიდარი.

მაშ, გადავფურცლოთ ამ წიგნის თავფურცელი და უფრო ახლოს გავეცნოთ ზაქროს, სოლომონს და ამ წიგნის ყველა გმირს.

გიორგი
კაჭახიძე

რა სიხარული
რგებიათ

გიორგი კაჭახიძემ კიდევ ერთხელ გაგვახარა... ლექსის გმირს მანანას კი ის სიხარული რგებია, რომ უფროს დაიკოს მისთვის ათამდე უსწავლებია დათვლა... წიგნშიც, ათი ლექსი ალბათ მანანას ხათრით შეიტანა პოეტმა... ჰოდა, ზეპირად დასწავლა კი თქვენზე იყოს...

სხეულის მარცხენა მხარეს, წინ, და თავის პატრონს ხეზე აცოცებაში ეხმარება. 1985 წლიდან, ტოკიოს მიდამოებში თორმეტი მრავალფეხა ბაყაყია ნაპოვნი. ერთ მათგანს ცხრა ფეხი ჰქონდა!

### პლასტმასის პოლიციელები

იაპონიის გზებზე კატასტროფულად იზრდება მოძრაობის წესთა დარღვევის რიცხვი. პოლიციელის ფხიზელ თვალს უკვე აღარ ძალუძს კონტროლი გაუწიოს მძღოლებს, ამიტომ საავტომობილო გზებზე გამოჩნდა პლასტმასის ფიგურები, რომელთაც შორიდან ვერაფრით ვერ გაარჩევთ ნამდვილი პოლიციელისაგან. პოლიციელის ფორმას რომ თვალს მოჰკრავს, მძღოლი ძალაუნებურად უკლებს სიჩქარეს.






## ტანვარჯიში წყალში

მშვიდ მდინარეში, აუზში, ტბასა თუ ზღვაში ბანაობისას კარგი იქნება თუ მარტივ, ტანვარჯიშის ილეთებს შეასრულებ. აი, ისინიც:

1. წყალში წელამდე ჩადექი. ერთი-ორი წუთი ფსკერზე გაიარ-გამოიარე. ფეხი ხან აუჩქარე, ხან შეანელე. შემდეგ ეს ვარჯიში გვერდულა სიარულითაც გააკეთე.

2. წყალში წელამდე ჩადექი, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალე და დოინჯი შემოიყარე. პირით ღრმად ჩაისუნთქე, ჩაჯექი და თავი წყალში ჩამალე. პირიდან და ნაწილობრივ ცხვირიდან ძალუმად ამოისუნთქე. გაიმეორე 6-10-ჯერ. წყალში ამოისუნთქე.

3. წყალში წელამდე ჩადექი. ხელები მკერდის სიმაღლეზე დაიჭირე და 20-30 წამი ადგილზე ირბინე. ეცადე, მუხლი რაც შეიძლება მაღლა ასწიო და ხელები ენერგიულად ამოძრაო წინ და უკან.

4. წყალში წელამდე ჩადექი. დოინჯი შემოიყარე. გამართული მარჯვენა ფეხი რაც შეიძლება მაღლა ასწიე და ამოისუნთქე. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას და ჩაისუნთქე. შემდეგ ფეხი გვერდზეც ასწიე და უკანაც გასწიე. ეს ილეთი თითოეული ფეხით 6-10-ჯერ გაიმეორე.

5. წყალში მხრებამდე ჩადექი. ფეხები და მკლავები გაშალე, ხელისგულები წინ გაიშვირე, ადგილიდან არ დაიძრა, არც მკლავების მდგომარეობა შეცვალო და ტანი ენერგიულად მიატრიალ-მოატრიალე. ასე გააკეთე 6-10-ჯერ.

6. წყალში მკერდამდე ჩადექი. ფეხები და მკლავები გაშალე. მაღლა აიქნიე მკლავები და ხელისგულები, თავსზემოთ ერთმანეთს მიარტყი. ამოისუნთქე. მკლავები რაც შეიძლება უკან გადახრილი დაუშვი (ბეჭის ფრთები რომ ერთმანეთს მიედოს). ამოისუნთქე. ასე გააკეთე 6-10-ჯერ.

7. წყალში მკერდამდე ჩადექი. მკლავები გაშალე. ხელისმტევნები ძირს დაუშვი და ადგილზე იხტუნე (რაც შეიძლება მაღლა ახტი). საწყისი მდგომარეობის დროს ჩაისუნთქე, ახტომისას — ამოისუნთქე.





პატარა, წვრილყელიანი ბოთლიდან ბოთლში რაიმე სითხის გადასასხმელად (მელანი, ნელსაცხებელი ან სხვა რამ) კარგი იქნება თუ ღარად ჩვეულებრივ კალამის წვერს გამოიყენებ.

თუ რძის ბოთლის პოლიეთილენის ხუფს საცერივით დახვრეტავ, მისი საშუალებით აკვარიუმის თევზებს საკვებს იოლად მიაწვდი.

თხელი ლითონის მილების გადასაჭრელად გირაგის გამოყენება არ ივარგებს. ამისათვის ხის ორი ნაჭრისაგან შეიძლება მარტივი სამაგრის გაკეთება. დააკვირდი აქ მოთავსებულ ნახაზს და ამის გაკეთება არ გაგიჭირდება.

ბიდონის ხუფს თუ რეზინის რგოლს ჩამოაცვამ, იგი მჭიდროდ დაეხურება, აღარ იხმაურებს და მისი ხელში დაჭერა აღარ დაგეზარება.

როცა ავტოკალამი გაიჭედება და მის მოტრიალებას ვეღარ ახერხებ, კარგია, თუ ხერხემა ქაღალდს იხმარ.

თუ ცოცხზე კაპრონის ნახმარ წინდას ჩამოაცვამ, ცოცხს „სიცოცხლეს" დიდად გაუხანგრძლივებ.



თევზს ქერცლი გაჭირვებით ეცლება ხოლმე. აიღე ლიმონათის ან ბორჯომის თავსახურავი, დააჭედე პატარა ფიცარზე, თევზს გაუსვ-გამოუსვი და მორჩა, ქერცლის ნასახიც კი აღარ დარჩება.













## სარჩევი


ნ. შამანაძე — ახლა სკოლისკენ ვიჩქარით (ლექსი)... გარეკ. II გვ.
ვ. ქარუმიძე — საქართველოს კომკავშირის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის (წერილი) . . . . . . . . . . . 1 გვ.
მორის ფოცხიშვილი — კომკავშირული (ლექსები) 2
ალიო მირცხულავა — ლენინურ კომკავშირს (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . . 6
გ. კაჭახიძე — კომკავშირსა და სიჭაბუკეს (ლექსი) 6
რ. ძერია — კომკავშირი — მშენებელი (წერილი) . 7
ჯ. ნინუა — მშვიდობით ვილიანა (მოთხრობა) . . 11
გ. ბახტაძე — პირველი პიონერები (საუბარი) . . 13
ა. ბუხნიკაშვილი — ჩვენი დედამიწა (წერილი) 20
ე. კონჩაკი — ღობემძვრალა (ზღაპარი) გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა . . . . . 24
ი. იაჩეიკინი — ნიუტონის ვაშლის ამბავი (მოთხრობა) უკრაინულიდან თარგმნა ა. ასანიძემ . . 24
გ. ჯინჯოლია — გზები არ დასრულდება (მოთხრობა) 28
ახალი წიგნები . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 30
სპორტი . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . გარეკ. მესამე გვერდზე.



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ აკაკი თევზაძეს.
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ზაფხულია, ზაფხული!" მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-0
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/VII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-71 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 2552. ტირ. 124.065. უე 00756.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 3. ბერძენი მეცნიერი; 5. გარეული ცხოველი; 7. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 9. მდინარე ევროპაში; 10. ვაჟის სახელი; 11. ხის ნაყოფი, რომლითაც ცხოველი იკვებება. 12. მდინარე ობის დასაწყისის სახელწოდება; 13.  ნელი ქარი, ანუ? 14. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი; 16. ქართული ზეპირსიტყვიერების მითოლოგიური გმირი; 19. სახელმწიფო აზიაში: 21. სახელმწიფო ევროპაში; 22. სახელმწიფო ევროპაში.

ვერტიკალურად: 1. შინაური ფრინველი; 2. კონტინენტი; 3. კინოფილმის სახელწოდება; 4. გემის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი; 6. შინაური ფრინველი; 7. კონტინენტი; 8. ციხე-სიმაგრე თურქეთში; 9. მდინარე ევროპაში; 15. ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე; 17. შინაური ფრინველი; 18. ტბა სომხეთში; 20. მდინარე, რომელზედაც გაშენებულია ლენინგრადი.

ბეჟან მღვდელიძე,
ამბროლაურის რაიონის სოფ. ღადიშის რვაწლიანი სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## შარადა

ლიკლიკით მიხტის მდელოზე
სულ ორი ბგერით ითქმის,
არ დააყოვნო პასუხი
ყველაფერს გამცნობ თითქმის.
ნამგლებს რომ ატრიალებენ,
ყანას აწვენენ დაბლა,
რა ჰქვია შრომის ამ სურათს,
გამოიცანი, აბა!
პირველი ბგერა მოაკელ
შარადის ბოლო ნაწილს, —
შეხედე — ზღვა და ხმელეთი
გადაგეშლება თვალწინ.

შ. ამირანაშვილი.



## ვინ უფრო მალე გამოიცნობს



ამ ნახაზზე თქვენ ხედავთ რაკრუსით გამოხატულ ადამიანის ხელებსა და ფეხებს. რამდენია მარცხენა და რამდენი მარჯვენა? დაინიშნეთ დრო და შეეჯიბრეთ: ვინ უფრო მალე გამოიცნობს.

## მუნჯი მოწმე

შემთხვევის ადგილზე იპოვნეს აქ გამოხატული ფეხსაცმელი. რა შეიძლება ითქვას მასზე?



## პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. ყანწი; 2. ამალა; 3. ბარი; 4. ხარი; 5. ნიგოითი; 8. ლილე; 9. აზია; 10 ჩილი; 13. ვარდი; 16. მოსკოვი; 18. ერეთი; 21. იალბუზი; 22. ბრასი; 23. ალამი; 26. სურო; 27. ქარი; 28. ილია; 29. იშიმი.

ჰორიზონტალურად: 6. ნალი; 7. იარა; 8. ატილა; 9. არა; 10 ჩაი; 11. ანი; 12. ირემი; 13. ვანია; 14. მაისი; 15. მარსი; 16. მური; 17. იელი; 19. კაკალი; 20. არაბია; 22. ხელი; 24. ილუზია; 25. აკვანი.

### თავსატეხი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 14 | 15 | 4 |
| 12 | 7 | 6 | 9 |
| 8 | 11 | 10 | 5 |
| 13 | 2 | 3 | 16 |

ИНДЕКС 76157

ნახატები მუგუზალისა




ეროვნული ბიბლიოთეკა